ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სისხლის სამართლის მიმართულება

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

შინაპატიმრობა,როგორც სასჯელის ნოვატორული სახე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში - თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ანალიზი

მაგისტრანტი : ნიკა დრიაშვილი

სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი : სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი ირინე ხერხეულიძე

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე

თბილისი

2019

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურა..... 2

შესავალი..... 3

თავი I 5

1.1 საპატიმრო სასჯელები და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მათი გამოყენების მაქსიმალური შეზღუდვის საერთაშორისო მოთხოვნა 5

1.2 არასაპატიმრო სასჯელები,როგორც ინსტიტუციონალიზაციის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების ალტერნატივა..... 10

თავი II 16

2.1 შინაპატიმრობის,როგორც სასჯელის სახის წარმოშობის ისტორია.... 16

2.2 შინაპატიმრობის არსი და მისი აღსრულება..... 18

2.3 შინაპატიმრობის უპირატესობა სხვა არასაპატიმრო სასჯელებთან..... 25

თავი III 30

3.1 არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა და შინაპატიმრობა..... 30

3.2 არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების უფლება და შინაპატიმრობა34

3.3 არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა და შინაპატიმრობა....37

თავი IV 39

4.1 სტიგმატიზაციის საფრთხე 39

4.2 პირადი და ოჯახური ცხოვრების,პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის საფრთხე 43

თავი V 48

5.1 შინაპატიმრობის გამოყენება არასრულწლოვნებთან მიმართებაში..... 48

5.2 შინაპატიმრობის გამოყენება სრულწლოვნებთან მიმართებაში.....50

დასკვნა..... 52

ბიბლიოგრაფია 55

გამოყენებული აბრევიატურა

ამკ - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი
სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი
სსსკ - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
იხ - იხილეთ
ა.შ - ასე შემდეგ
სხვ - სხვა
ევროპული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
სსრკ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
გვ - გვერდი
აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები
ე.წ - ეგრეთ წოდებული

შესავალი

სასჯელი სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს და პრაქტიკულად პირზე ზემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს. არ არსებობს სისხლის სამართალი სასჯელების გარეშე, შესაბამისად მოცემული საკითხი ოდითგანვე აქტუალურია. წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება შინაპატიმრობას, როგორც სასჯელის ნოვატორულ სახეს ქართულ სამართალწარმოებაში და ისეთ საკითხებს, როგორიცაა საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელების გავლენა მსჯავრდებულების მდგომარეობაზე სისხლის სამართლის მიზნების კუთხით. საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ისიც, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში შინაპატიმრობის ინსტიტუტის არც თუ ისე დიდი წარსულის გამო მეცნიერებაში კამათი არ წყდება მისი დადებითი და უარყოფითი გავლენის შესახებ, იმ ცალკეული უფლებების გარშემო, რომლებიც შესაძლოა ილახებოდეს მისი აღსრულების დროს. სასჯელების აღსრულება სისხლის სამართლის ყოველდღიური საქმიანობის მთავარ ნაწილს წარმოადგენს, შესაბამისად მსოფლიოში მოცემული თემატიკის ლიბერალიზაციის პარალელურად არასაპატიმრო სასჯელების და მათ შორის შინაპატიმრობის როლი სულ უფრო იზრდება. თემა აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ იგი ეხება ქართულ სამართალწარმოებაში შინაპატიმრობის აღსრულების შემაფერხებელ ცალკეულ პრობლემებს.

ნაშრომის მიზანია საპატიმრო სასჯელებთან მიმართებაში, არასაპატიმრო სასჯელების უპირატესობის წარმოჩენა, მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებების გაანალიზებით, სისხლის სამართლის მიზნების მიმართ და უშუალოდ შინაპატიმრობის, როგორც საპატიმრო ღონისძიებების ალტერნატიული სასჯელის განხილვა. ასევე დადებითი და უარყოფითი ეფექტის წარმოჩინება მკითხველისათვის, მათი შეპირისპირება და მართებული დასკვნების გამოტანა. ნაშრომის მიზანია, შინაპატიმრობის აღსრულების დროს მსჯავრდებულზე მოხდენილი ეფექტების გაანალიზება ლიტერატურისა და სასამართლო გადაწყვეტილებების პრაქტიკაზე დაყრდნობით.

ნაშრომში მოცემული საკითხების სიღრმისეულად გაანალიზების მიზნით გამოყენებული იქნება ლოგიკური, სისტემური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები, წამოწყებული მსჯელობის გასამყარებლად გამოყენებული

იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებები და პირადი მოსაზრებები ცალკეულ საკითხებზე.

ნაშრომი შეიცავს ხუთ თავს შესავლისა და დასკვნის გარდა, რომლებშიც გამოყოფილია ქვეთავები მოცემული საკითხების სიღრმისეულად გაანალიზების მიზნით.

პირველი თავი შეეხება ზოგადად საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელებს, საერთაშორისო სამართლის სისტემებში მათ მიმართ გამოთქმულ მოსაზრებებს და იმ შეხედულებებს, რომელიც დროთა განვმალობაში ამ მიმართებით ჩამოყალიბდა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციის კუთხით.

მეორე თავი შედგება სამი ქვეთავისგან, პირველ პარაგრაფში განხილულია შინაპატიმრობის, როგორც სასჯელის სახის წარმოშობის ისტორია მსოფლიოს მასშტაბით, წარმოჩენილია ისტორიული ექსკურსი და კონტინენტური სამართლის ქვეყნების გამოცდილება, მეორე პარაგრაფში განხილულია მოცემული სასჯელის სახის ზოგადი არსი და მისი აღსრულების ეტაპები, ხოლო მესამე პარაგრაფში საუბარი შეეხება შინაპატიმრობის უპირატეს მხარეებს სხვა არასაპატიმრო სასჯელებთან მიმართებით.

მესამე თავი სამი პარაგრაფისგან შედგება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარ პრინციპებს იხილავს, კერძოდ პირველი ნაწილი შეეხება არასრულწლოვანს და მის საუკეთესო ინტერესს შინაპატიმრობასთან მიმართებით, მეორე თავი - მოზარდის ჰარმონიული განვითარების უფლებას და იმ ეტაპებს, რომელზედაც ხორციელდება ყოველივე ეს მოცემული სასჯელის აღსრულების დროს, მესამე თავი ეთმობა არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და ამ მიდგომის პარალელურად კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ შინაპატიმრობის გამოყენებას და აღსრულებას.

მეოთხე თავი მიმოიხილავს შინაპატიმრობის, როგორც სასჯელის ნოვატორული სახის აღსრულების პრობლემურ ასპექტებს, კერძოდ იმ გარემოებებს, რომელთაც შესაძლოა მის აღსრულებას ხელი შეუშალოს, მაგალითად პირველ პარაგრაფში საუბარი იქნება სტიგმატიზაციის შესაძლო საფრთხეზე, მეორეში იმ უფლებებზე, რომელთა შესაძლო დარღვევასაც შესაძლოა ჰქონდეს ადგილი შინაპატიმრობის აღსრულების დროს და ამ დარღვევის მიზანს, როგორც სახელმწიფოს მიერ ჩარევის დასაშვებობას.

მეხუთე თავში განხილული იქნება სტატისტიკური მონაცემები გარკვეული თვეების მიხედვით საქართველოში შინაპატიმრობის აღსრულებისა და

გამოყენების კუთხით . ასევე თვალსაჩინოებისათვის მეტი მონაცემები მიეწოდება მკითხველს

თავი I

1.1 საპატიმრო სასჯელები და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მათი გამოყენების მაქსიმალური შეზღუდვის საერთაშორისო მოთხოვნა

სისხლის სამართალი წარმოუდგენელია სასჯელის გარეშე , როდესაც გვესმის სიტყვა „დანაშაული“ ასოციაციურად მაშინვე წარმოგვიდგება, სასჯელი, როგორც კანონის, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონის საპასუხო რეაქცია პიროვნების მიერ ჩადენილი არა მართლზომიერი, ბრალეული ქმედების გამო.

ქართული სამართალი, ისევე როგორც სხვა ქვეყნების სამართლის სისტემები გამოყოფენ საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელებს. საპატიმრო სასჯელების ბუნება ნათელია და დამატებით ახსნას ნაკლებად საჭიროებს, ამიტომ შემდგომში ვისაუბრებთ არასაპატიმრო სასჯელებზეც, ამჯერად კი რისი აღნიშვნაც საჭიროდ მიმაჩნია არის ის, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის სტანდარტები უშუალოდ განსაზღვრავს სასჯელების ბუნებას და რა თქმა უნდა სასჯელების გამოყენების და მათთან მიდგომის საკითხსაც[1], უნდა დავასკვნათ, რომ სასჯელების თემატიკა სისხლის სამართალში არის ცოცხალი ორგანიზმი, ისევე როგორც მთლიანად სამართლის მეცნიერება, რომელიც იცვლება დროის და ცხოვრების სტილის შესაბამისად. რათა არ მოხდეს მისი, როგორც სისტემის მოძველება და დაკნინება ადამიანების თვალში, რომლებიც მისი სუბიექტნი არიან.

საპატიმრო სასჯელებზე საუბრისას ხაზი უნდა გავუსვათ მოცემული სანქციის მიზანს და ასევე კავშირს ჩადენილ ქმედებას და მის გაკიცხვადობას შორის[2], შესაბამისად ვერ გავექცევით იმ ფაქტის აღიარებას რომ, მოცემული სასჯელის სახეები გარკვეულწილად ლახავს ადამიანის გარკვეულ კონსტიტუციურ უფლებებსაც [3] , შესაბამისად მათი გამოყენების მკაცრად

---

[1]იხ. ნაჭყებია, გ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2016, გვ. 41

[2]იხ. ლეკვეიშვილი,მ. სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმილოგოიური ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(43), 2014, გვ 19

[3]იხ. ცქიტიშვილი, თ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2016, გვ 560

განსაზღვრული ჩარჩოს დადგენაა საჭირო.

ქართული კანონმდებლობით თავისუფლების აღკვეთა ინიშნება მაქსიმუმ 20 წლით ან უვადოდ, თუ სახეზე არ არის დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობა, ბუნებრივია არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის პოლიტიკა შედარებით მსუბუქია და სასჯელის მიზნებიც განსხვავებულია. ქართული სამართლის და ასევე გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მიხედვით არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტში შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, შესაბამისად 14 წელი არის პასუხისმგებლობის ქვედა ზღვარი, რომლის არ არსებობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ დადგება, შესაბამისად ფრაზა „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი" გულისხმობს 18 წლამდე ასაკის პირს, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მან ჩაიდინა ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის ცალკეული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, მის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი[4].

ბუნებრივია შორეულ წარსულში მიდგომა ერთნაირი იყო სრულწლოვან და არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ, მაგალითად საფრანგეთში ნაპოლეონამდელ პერიოდშიც კი ქურდობის ჩამდენი სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირები ხელის მოკვეთით ისჯებოდნენ, შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციის ეტაპები უნდა ვეძიოთ იმ პერიოდში, როდესაც რეალურად მოხდა გაანალიზება იმ პრობლემის, რასაც არასრულწლოვანთა დანაშაული ერქვა და სიტყვა „არასრულწლოვანი" განიმარტა, როგორც საზოგადოების პრივილეგირებული წევრი, რომელსაც უფლებები მეტი აქვს ვიდრე პასუხისმგებლობები.

პირველად იურიდიულ დონეზე ასეთი დიფერენციაცია საფრანგეთში მოხდა, კერძოდ 1850 წლის კანონით „ახალგაზრდა პატიმართა აღზრდისა და პატრონაჟის შესახებ", რომლის მე-5 ნაწილის მიხედვით, აღზრდა უნდა მოხდეს ისე, რომ დანაშაული იქნეს გაცნობიერებული, თუმცა არ მოხდეს პიროვნებების იმაზე მეტად დასჯა, ვიდრე მათი ჩამოყალიბებისთვისაა საჭირო. თუ კარგად დავუკვირდებით ამ ნაწილს აღმოვაჩენთ, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იყო გაცნობიერებული სასჯელის გამოსასწორებელი ეტაპი და ის რომ საპატიმრო ან სხვა მკაცრი სასჯელი, ვერ მოახდენდა არასრულწლოვანთა დანაშაულის

---

[4] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3

აღკვეთას და საჭირო იყო სხვა ღონისძებების გატარება მოცემული პრობლემის სამომავლო პრევენციისათვის.

ზოგადად, არასრულწლოვანთა დანაშაულების მრავალრიცხოვანების მხრივ ამერიკა მუდამ გამოირჩეოდა, სწორედ ამერიკაში მოხდა იმის გათვიცნობიერება, რომ დასჯადობა ვერ ამცირებდა დანაშაულის ასაკს, პირიქით საპატიმრო ან სხვა მკაცრი სასჯელები განსაკუთრებით საპატიმრო, ზრდიდა დანაშაულების რაოდენობას, ამ მხრივ ილინოისის შტატი მუდამ მოწინავე პოზიციებზე იყო[5] და შესაბამისად 1899 წელს ჩიკაგოში შეიქმნა პირველი სასამართლო, რომელიც უშუალოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საქმეს განიხილავდა. სასამართლოს მიზანი იყო მაქსიმალურად მოეხდინა საპატიმრო სასჯელების აკრძალვა 16 წლამდე პიროვნებებს შორის, ვინაიდან ამ პერიოდამდე სასჯელები და საქმის განმხილველი სასამართლოები იყო საერთო და არც ასაკობრივი ზღვარი არსებობდა.

ისტორიულ კონტექსტში ისე მოხდა, რომ ამ მოვლენის შემდგომ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ე.წ „ბავშვის უფლებების დეკლარაცია“, რომელიც ერთა ლიგამ გამოსცა 1924 წელს, რომელიც ძირითად აქცენტს მატერიალურ საჭიროებებზე აკეთებდა, თუმცა „გაერომ“ 1985 წელს გამოსცა ე.წ „პეკინის წესები“, რომლის 2.3 და 3.3 ნაწილებშიც უშუალოდ არის დათქმა იმის შესახებ, რომ უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს არასრულწლოვანთა ძირითადი მოთხოვნები, რაც გულისხმობს ამ უფლებების განხორციელებას არა მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებზე, არამედ იმ ახალგაზრდებზეც, რომლებიც შესაძლოა აღმოჩნდნენ ასეთ ვითარებაში.

პირველი ნაბიჯები ფართო მასშტაბებით სწორედ „გაეროს“ მიერ იქნა გადადგმული არასრულწლოვანთა უფლებების მხრივ[6], ბუნებრივია თავის მოტყუება იქნება იმის მტკიცება, რომ ლიბერალიზაცია სისხლის სამართალში უმალ და ასე კონკრეტულად მოხდა, არასრულწლოვანი პირების მიმართ საპატიმრო სასჯელების აკრძალვის მოწოდების გაჟღერებამდე უამრავი პაქტი იქნა მიღებული, რომელიც ეტაპობრივად ამცირებდა აბსურდულ მიდგომებს სისხლის სამართლის მეცნიერებაში. მაგალითად 1966 წელს მიღებული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი (International Covenant on Civil and Political Rights), რომლის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი მოზარდების უფლებებს ეხება პენიტენციურ სისტემაში, როგორც შედარებით

[5]https://www.times-news.com/news/local_news/juvenile-justice-system-stems-from-illinois-law/article_a8065591-44a4-5b65-aa2a-bbbbed931e02.html (მოპოვების თარიღი 06.06.2019)

[6]იხ, ვაიკუნდი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდი,, ლექცია 1

პრივილეგირებულ პირებს მათი ასაკობრივი ზღვრის გამო.

1990 წელს „გაერომ“ მიიღო წესები „თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ ანუ „ჰავანის წესები“ და „პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით“ ანუ „რიადის პრინციპები“, ეს აქტები არა მხოლოდ იმ პირებს შეეხებოდა, რომელთა მიმართაც უკვე გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი, არამედ ისეთებსაც, რომელთაც შეიძლება ეს საფრთხე დაემუქროს, ვინაიდან ორივე პაქტში საუბარია საპატიმრო სასჯელების გამოყენების მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევითობაზე. საერთო ჯამში, ეს საერთაშორისო აქტები წარმოადგენდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ლიბერალიზაციის წინაპირობებს, რაც საბოლოოდ ერთიანად აისახა ბავშვთა უფლებების ევროპულ კონვენციაში.

სანამ უშუალოდ კონვენციას შევეხებოდე, მინდა რამოდენიმე სიტყვა ვთქვა უშუალოდ სასჯელების შემსუბუქების ტენდენციაზე. კერძოდ, მიდგომამ, რომ არასრულწლოვნების მიმართ მაქსიმალურად შეზღუდულიყო საპატიმრო სასჯელი მრავალი ეტაპი გაიარა, თავდაპირველად მოხდა სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნა და შემდეგ საპატიმრო სასჯელების შემსუბუქებისაკენ მოწოდება.

კონვენციაში ბავშვთა უფლებების შესახებ ყველაზე ახლო ჩემს საკვლევ თემასთან არის 37-ე მუხლი, რომელიც უშუალოდ ეხება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს და უშუალოდ არის პეკინის და ჰავანას წესების გამოძახილი[7].

კერძოდ, კონვენციის 37-ე მუხლის „ა“ ნაწილი საერთოდ კრძალავს სიკვდილით დასჯას, რაზეც ზემოთაც მქონდა საუბარი, თუმცა ამ აკრძალვასთან ყველა ქვეყანას თავისებური მიდგომა აქვს[8], საპატიმრო სასჯელის შეზღუდვას ეხება ნაწილი „ბ“, რომელიც საპატიმრო სასჯელებს, დატუსაღებას და ა.შ დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ამას დანაშაულის ბუნება ითხოვს და არა მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა [9], შესაბამისად ეს მოწოდება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს არასრულწლოვნის მიმართ საპატიმრო სასჯელის გამოყენების აკრძალვის მოთხოვნა ყველა შემთხვევაში უნდა ხდებოდეს, რადგან ფრაზა „მხოლოდ უკიდურეს ზომად“

[7]იქვე. გვ 22

[8]იხ. როპერი სიმონსის წინააღმდეგ 543 U.S 551 (2005) https://supreme.justia.com/cases/federal/us/543/551/ (მოპოვების თარიღი 11.06.2019)

[9]იხ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, თბილისი 2011, გვ 79

ნიშნავს, რომ ჩარჩოთი მკაცრად უნდა იყოს გაწერილი დანაშაულის სახე, ხასიათი და ბუნება, ასევე არასრულწლოვნის პიროვნება და მხოლოდ ამის შემდგომ მოხდეს სანქციის დაწესება[10].ამიტომ უპრიანი იქნება, რომ ამ კუთხით ქართული კანონმდებლობაც განვიხილოთ, როგორც საერთაშორისო სამართლის გამოძახილი.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საკითხის რეგულირებისკენ პირველი დიდი ნაბიჯები ქართულმა კანონდებლობამ 2015 წელს გადადგა, როდესაც მიიღო - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. 64-ე მუხლი ეხება აღკვეთის ღონისძიების სახით, მისი უკიდურესი ფორმის, პატიმრობის გამოყენებას და პრაქტიკულად მკაცრ ჩარჩოს უდგენს მოსამართლეს სამართალწარმოებისას. კერძოდ პატიმრობა მოხსენიებულია უკიდურეს ღონისძიებად და მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ასევე გამოძიებაზე ზეგავლენის მოხდენის თავიდან აცილების მიზნით, რათა არ მოხდეს პიროვნების მიმალვა და მაშინ, როდესაც პატიმრობის მიზანი აღემატება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს. შესაბამისად ჩარჩო არის - პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ მოცემული პირობების დროს და არა მაშინ, როდესაც შესაძლოა მოზარდის მიმართ შემდგომში მართლაც დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი[11].

ამკ არასრულწლოვანთა მიმართ მთელ რიგ პრივილეგიებს აწესებს კერძოდ, თუ ერთ შემთხვევაში ის ითხოვს მათ მიმართ შეიზღუდოს მკაცრი სასჯელები, მეორე მხრივ ითხოვს შემცირდეს სხვა საპროცესო ვადები, მაგალითად წინასწარი პატიმრობის ვადა 6 თვემდე, სრულწლოვანთათვის დადგენილი 60 დღიანი ვადისგან განსხვავებით, წინასასამართლო სხდომა უნდა ჩატარდეს არასრულწლოვანის დაკავებიდან 40 დღის ვადაში. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მიდგომები სუბიექტურია ცალკეულ მართლმსაჯულების სისტემებში და საერთაშორისო რეკომენდაციებიც მეტნაკლებადაა განხილული[12].

ვინაიდან ქართულ კანონმდებლობას შევეხეთ, ბუნებრივია შეუძლებელია კონსტიტუცია არ განვიხილოთ, როგორც უკვე აღინიშნა,

---

[10]ვაიკუნდი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, ლექცია 1

[11]იხ. ხაინდრავა, ნ. ბოხაშვილი, ბ. ხიდაშელი, თ. წინასწარი პატიმრობის შეფარდებას დაკავშირებული ადამაინის უფლებათა სასამართლოს ანალიზი, 2010, გვ 46

[12]იხ. იმერლიშვილი. ი. სტატია „არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი ეროვნული კანონმდებლობის,სასამართლო პრაქტიკისა და ევროპული სტანდარტების ანალიზის მიხედვით“, მართლმსაჯულება და კანონი N1(57), თბილისი 2018, გვ 40

საპატიმრო და ზოგიერთი არასაპატიმრო სასჯელიც გარკვეულ წილ ლახავს მთელ რიგ კონსტიტუციურ უფლებებს, მაგალითად მიმოსვლისა და ადამიანის თავისუფლებას, ბუნებრივია, ყოველივეზე შემდგომ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, თუმცა უპრიანი იქნება, აქვე ვთქვათ რომ ერთმანეთის პირისპირ ხან კანონის ინტერესი დგას, ხან ისევ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, ისევდაისევ [13] მისი აღზრდის პროცესში. ვინაიდან არასრულწოვნების ფსიქოლოგია განსაკუთრებით მგრძნობიარედ აღიქვავს ყოველგვარ ზეგავლენას, მით უმეტეს კანონის მხრიდან[14] მის საწინააღმდეგოდ.

1.2 არასაპატიმრო სასჯელები,როგორც ინსტიტუციონალიზაციის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების ალტერნატივა

არასაპატიმრო სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში დადებითი ბალანსის მიღწევის იდეალური პერსპექტივაა [15], მთელი რიგი მიზეზების გათვალისწინებით, რომლებსაც აუცილებლად შევეხებით.

რამოდენიმე ძირითადი მიღწევა რომ გამოვყოთ, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება, სტიგმატიზაციის საკითხი, რომელზეც მოგვიანებით უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, ასევე რესოციალიზაციის მაღალი შესაძლებლობა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი და უპირველესი მიზანი, გამოხატული ამკ-ს პირველ მუხლში, ასევე მე-9 მუხლში, როგორც საპატიმრო სასჯელების მაქსიმალურად აკრძალვის მოთხოვნა და რა თქმა უნდა კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლა,

[13]იხ. შალიკაშვილი, მ. არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, თბილისი 2016, გვ 27

[14]იხ. კავთუაშვილი. ე. სტატია „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი - ფსიქოლოგიურ,თეოლოგიურ,პედაგოგიურ და იურიდიულ ჭრილში“, სამართალი და მსოფლიო N4 თბილისი 2016, გვ 102

[15]იხ. ხერხეულიძე, ი. სტატია „ სასარგებლო შრომა-არასაპატიმრო სასჯელთა სახის შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი“, მართლმსაჯულება და კანონი N2(29), თბილისი 2015, გვ 119

გამოხატული როგორც, კავშირის წყვეტა არასრულწლოვნებსა და კრიმინალური სხვა სამყაროს წევრებს შორის, შორის, მაგალითად მათი საპატიმრო დაწესებულებებში არ მოთავსების კუთხით. არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების მიზნით განსაკუთრებულად მცირდება გრძნობა, როგორც „ხელნაკრავი“ მოზარდი, რომელსაც კანონმა, ოჯახმა, სკოლამ აქცია ზურგი და ის კრიმინალური სამყაროს მარწუხებში აღმოჩნდა, სადაც მუდამ ელიან, როგორც ახალ სისხლს და მიმდევარს, როგორც ახალ წარმომადგენელს[16].

არასაპატიმრო სასჯელები ინსტიტუციონალიზაციის საკითხის წინააღმდეგ საბრძოლველი ყველაზე ეფექტური და კარგი მიმართულებაა, რამდენიმე მიზეზის გამო: 1) არასრულწლოვნის ერთგვარი დასჯა მაინც ხორციელდება, ამ კუთხით არ ხდება „თავზე ხელის გადასმა“, ის აცნობიერებს მის მიერ ჩადენილ ქმედებას და იღებს პასუხისმგებლობას[17], 2)დასჯის განხორციელება ხდება, ისე რომ მოზარდის ფსიქიკის დაზიანება არ ხდება, მასსა და კანონს შორის არ ჩნდება ხიდჩატეხილობა და მისგან წესრიგის მტერი არ იზრდება; 3) ხდება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ სწრაფვა , მისი დახვეწა;

რესოციალიზაცია არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უპირველესი მიზანი, ამ მიზნის მისაღწევად არასაპატიმრო სასჯელების გამოყენება უპრიანია. არა მხოლოდ შინაპატიმრობის, რაც ჩემი თემის უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს, არამედ ასევე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შემთხვევაშიც, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირშიც გამოიყენებოდა და სასჯელთა ბუნება საერთოა[18], ვგულისხმობ იმას რომ იმას, რომ საპატიმრო სასჯელების არ გამოყენების კუთხით ინსტიტუციონალიზაციის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება ხდება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასე ვთქვათ სტიგმატიზაცია, გარკვეულ პიროვნებების შემდგომ ცხოვრებას

---

[16]იხ. შალიკაშვილი,მ. მიქანაძე, გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური,სისხლისსამართლებრივი,პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი 2011, გვ 147

[17]იხ. ივანიძე, მ. სტატია „სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1. თბილისი 2017, გვ 8

[18]იხ. იხ. ხერხეულიძე, ი. სტატია „ სასარგებლო შრომა-არასაპატიმრო სასჯელთა სახის შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი“, მართლმსაჯულება და კანონი N2(29), თბილისი 2015, გვ 121

სამუდამოდ თან სდევს ხოლმე, როგორც საზოგადოების დამოკიდებულება [19], რომელიც რესოციალიზაციას შეუძლებელს ხდის.

ინსტიტუციონალიზაცია ასე უშუალოდ სასჯელების კუთხით, რომ განვიხილოთ შეიძლება რამდენიმე მიმართულებით წავიდეთ. იგი არ უნდა იყოს მთელი რიგი იმ თანმდევი შედეგების მომტანი, რომელსაც საპატიმრო სასჯელები აწესებენ. მიჩნეულია, რომ სასჯელის ერთ-ერთი ეტაპი დასჯაა და ბუნებრივია სამართალწარმოების უმნიშვნელოვანეს ნაწილსაც წარმოადგენს, თუმცა კანონს მართებს დროს გაუსწროს კიდეც, რადგან დასჯა არ იყოს მხოლოდ დღევანდელი პრობლემის მომგვარებელი [20] და საკუთარ თავში რესოციალიზაციასაც მოისაზრებდეს, როგორც დასჯის ელემენტის უარყოფას, რადგან რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე და პრევენციაზე აქცენტირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებთან მიმართებაში.

ინსტიტუციონალიზაცია მოცემულ საკითხში უამრავი პრობლემის გამომწვევია და შესაბამისად თითოეული ეს პრობლემა კონკრეტულ ქვეყნებში მეტნაკლები სიმწვავით დგას, მაგალითად საქართველოში ე.წ იარლიყი - „ნაციხარი“, არის ის პრობლემა, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების გზით, რადგან როგორც ამგვარი დამოკიდებულების და აზროვნებას ინსტიტუტად დაფუძნება პრაქტიკულად ჩანასახშივე წირავს სისხლის სამართლის მიზნებს[21], რადგან საბოლოო მიზანი მაინც დანაშაულის აღმოფხვრაა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით და არა სისხლისსამართლებრივი ძალდატანების განხორციელებით.

უშუალოდ სტიგმატიზაციის საკითხის განხილვამდე უნდა შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებსაც, როგორიცაა მაგალითად კრიმინალური ცნობიერების წინააღმდეგ ბრძოლა და რესოციალიზაცია, როგორც სრულწლოვნების ისე არასრულწლოვნების კუთხით. მიუხედავად იმისა რომ ჩემი ნაშრომის მთავარი ჭრილი არასრულწლოვნებს ეხება, მაგალითად კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლა სრულწლოვანი ადამიანების შემთხვევაში უფრო რთულია, შესაბამისად ამ მავნე დოგმების ინსტიტუციონალიზაციის თავიდან არიდების გზით აღმოფხვრა არასაპატიმრო სასჯელებით ყველას შემთხვევაში მისაღები და უმთავრები მიზანი უნდა იყოს.

---

[19]იხ. შალიკაშვილი,მ. სტატია „კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი“, სამართლის ჟურნალი N1-2, თბილისი 2011, გვ 200

[20]იხ. Сундуров,Ф.Р. Талан,М.В. НАКАЗАНИЕ В УГОЛОВНОМ ПРАВЕ, МОСКВА 2015, ст 108

[21]იხ. პროოსი, ა. პეტაი,ა. საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება დანაშაულისადმი,სასჯელთა შეფარდებისა და აღსრულების პოლიტიკისადმი, ტალინი 2009, გვ 13

სტიგმატიზაციის საკითხთან მიმართებით რელევანტურია სუბკულტურის არსის გარკვევაც. თუ რა არის სუბკულტურა ? კრიმინალური სუბკულტურის შეცნობის გარეშე პრაქტიკულად სისხლის სამართლის სასჯელების დახვეწა და შევსება შეუძლებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ვერ მოხდება სწორი მეთოდებისა და სტრატეგიების შემუშავება სასჯელის მიზნების მისაღწევად.

სუბკულტურა არის კულტურული ქვეჯგუფი, რომელიც გამოირჩევა თავისი სტატუსით, ერთნიკური ერთობით, განსახლების არეალით, რელიგიით, რწმენა-წარმოდგენებით ან სხვა ფაქტორებით, რაც მათ ერთ კოლექტიურ ჯგუფად კრავს. სუბკულტურა ასევე არის გარკვეული სოციოკულტურული ჯგუფი. მაგალითად ქართულ რეალობაში ცალკეული ადამიანები ე.წ ქურდული სამყაროს წესებით ცხოვრობენ და ცალკეულ სუბკულტურულ ჯგუფს წარმოადგენენ, როგორც ადამიანთა ერთობას, რომლებიც საერთო წესებს ემორჩლება, ჰგავს ერთმანეთს ცხოვრების სტილით და ა.შ

კანონს მეტი მოქნილობა და თანაზომიერება მართებს, ბუნებრივია საუბარია სასჯელელზე და მთლიანად სისხლის სამართალზე [22], როგორც წესრიგის უმთავრეს შემოქმედზე და გულშემატკივარზე ნებისმიერი სამართლის მიხედვით, რადგან კრიმინალური ცნობიერების და სუბკულტურის წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთულია მისი ცვალებადი ბუნების და ხასიათის გამო.

არასრულწლოვნების კუთხით კრიმინალური სუბკულტურის აღმოფხვრა აღზრდით უნდა განხორციელდეს, ეს აღზრდა კი პენიტენციურ დაწესებულებაში რთულად მიიღწევა, შესაბამისად მივდივართ დასკვნამდე, რომ გარკვეულ წილ საპატიმრო სასჯელები აღზრდა-რესოციალიზაციის შანს მინიმუმამდე ამცირებენ,რადგან არასრულწლოვანთა ფსიქიკა ჩამოყალიბების პროცესში მედგრად ვერ ეწინააღმდეგება „თვითრეალიზაციის“ სურვილს, შესაბამისად წყვეტა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და კრიმინალურ სუბკულტურას შორის ურთიერთობის კუთხით ვეღარ ხდება, ამას ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ კონტაქტი მოცემულ მოზარდებს ძირითადად ამ სუბკულტურული ჯგუფის წევრებთან აქვთ, შესაბამისად ცხოვრების სტილის შეცვლა და ახალი ხედვების გაჩენა ძნელდება ყოველდღიურ კავშირებში[23].

ყოველივე ეს რესოციალიზაციის პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს და პრაქტიკულად აზრზს უკარგავს ამკ-ს უმთავრეს პრინციპებს, ამკ - ს მიხედვით სასჯელის მიზანი არაა არასრულწლოვანის დასჯა, არამედ მისგან სანიმუშო მოქალაქის აღზრდაა. თუ დავუკვირდებით საქართველოს პატიმრობის

[22]იხ. старково.в. криминальнаясубкультура, Москва 2010, ст 14

[23]იხ. შალიკაშვილი, მ, მიქანაძე, გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 214

კოდექსის 116- ე მუხლს, დავინახავთ რომ მასში, საუბარი არის მსჯავრდებულებზე, ასევე მასში ცხადად არის მოცემული რესოციალიზაციის ზოგადი ფორმა და ნორმა: „რესოციალიზაცია, არის საზოგადოების, სხვა ადამიანების,ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება“. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია ამ მიზნების მიღწევის მეტ გარანტს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენება იძლევა,რადგან პენიტენციურ დაწესებულებაში ძალიან ძნელია ყველა იმ მოთხოვნის შექმნა და გაკონტროლება, რაც მოზარდის ფსიქიკას ე.წ ჰარმონიული განვითარების საშუალებას მისცემს, ბუნებრივია საჭიროა ფსიქოლოგების და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა,მეტი გამჭირვალობის და ეფექტურობის მიზნით[24].

შესაბამისად მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ისტორიული რაკურსიდან გამომდინარე კარგად ჩანს, თუ რა ეტაპი გაიარა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციამ, კერძოდ ჯერ მოხდა შუა საუკუნოვანი დასჯის მეთოდების გაუქმება და მათი შედარებით ცივილურ ჩარჩოებში მოქცევა, მაგალითად როგორც ითქვა ხელის მოჭრის ნაცვლად, ქურდობის ჩამდენი პირების სხვა სახით დასჯა და მთელი რიგი რეფორმების გატარება ამ მიმართულებით. შემდგომ მოხდა იმის გაანალიზება, რომ შეუძლებელია ერთგვაროვანი სასჯელის გამოყენება ყველა სუბიექტის მიმართ დანაშაულის არსის, ბუნების, მისი ჩამდენი პირის ასაკის და სხვა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე. როგორც გამოითქვა მოსაზრება „დღეს დღეისობით, არასრულწლოვანთა სანქციის შერჩევა მოითხოვს ქმედების და პიროვნული თვისებების შეფასებას, ამას კი, საბოლოო ჯამში ორმაგი მიზანი ახასიათებს: ბავშვის კეთილდღეობის ხელშეწყობა; პროპორციულობის პრინციპის დაცვა“ [25] . ეს ყველაფერი დანაშაულთან ბრძოლას უფრო მოქნილს გახდის, მაგალითად ის რომ სახელმწიფომ გააცნობიერა მისი პასუხისმგებლობა და ვალი არასრულწლოვნების წინაშე[26], მოხდა არასრულწლოვანთა სპეციალიზირებული სასამართლოს შექმნა და მათი უფლებების გაწერა სხვადასხვა საერთაშორისო აქტებში, ასევე

[24]იხ. იქვე. გვ 219

[25]ვაიკუნდი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი 2013 ლექცია 6

[26]იხ. მესხი, მ, სტატია „არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებები,რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამართალწაემოებისას“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017, გვ 56

უმნიშვნელოვანესია„გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის შექმნა“, სწორედ სისხლის სამართლის მიზნების შეცვლამ გამოიწვია უმთავრესი მიდგომების შეცვლაც და შესაბამისად კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების მიმართ ცალკეული დანაწესების შექმნაც, როგორიცაა მაგალითად საპატიმრო სასჯელების მაქსიმალურად აკრძალვის მოთხოვნა და რესოციალიზაცია.

სწორედ ინსტიტუციონალიზაციის უარყოფითი გააზრებამ ბიძგი მისცა არასაპატიმრო სასჯელების მომეტებულ გამოყენებას, რომელიც უფრო გამართლებულიც არის, როგორც ბავშვთა საუკეთესო ინტერესის და აღზრდის გათვალისწინების, ისე დანაშაულის პრევენციის კუთხით. ამ უკანასკნელთა გათვალისწინების გარეშე კი ვერც პრევენცია და ვერც რესოციალიზაცია მიიღწევა, რაც შესაბამისად კანონის მოქმედებას არასრულწლოვნის ცხოვრებაზე იმაზე მეტად უარყოფით ასპექტში ავლენს ვიდრე ესუნდა ხდებოდეს, რათა მოხდეს ოქროს შუალედის დაცვა და გაკონტროლება ამ ურთიერთობაში[27]

[27]იხ. გაეროს ფონდი, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, 2017, გვ 13

თავი II

2.1 შინაპატიმრობის,როგორც სასჯელის სახის წარმოშობის ისტორია

შინაპატიმრობას, როგორც სასჯელის სახის გამოყენებას დადასტურებული ფაქტით ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ვხვდებით [28], ბუნებრივია იმ ეპოქაში ეს ძალიან ინოვაციური ნაბიჯი იყო, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მისი სუბიექტი იმ დროში საკმაოდ წარმატებული მეცნიერი - გალილეო გალილეი იყო, შესაბამისად მისი გამოყენება სავარაუდოდ ერთეულ შემთხვევაში ხდებოდა და მას ფართო სახე არ ჰქონდა, თუმცა როგორც სასჯელის სახის წარმოშობა პირველ დადასტურებულ ფაქტად სწორედ 1632 წელს ფიქსირდება იტალიაში ქალაქ რომში.

ბუნებრივია ფართოდ მისი გამოყენება ამერიკაში დაიწყო, როდესაც შესაძლებელი გახდა კონტროლის გაწევა პიროვნებებზე, რომლებსაც სასჯელის სახედ შინაპატიმრობა უწესდებოდათ, ეს კონტროლი დაკავშირებული იყო ელექტრონული მონიტორინგის სისტემასთან, რომლის შემქნის მცდელობაც 1964 წელს ჰარვარდში კრახით დასრულდა ტექნიკის

[28] http://chnm.gmu.edu/history/faculty/kelly/wciv/science/galileo.htm (მოპოვების თარიღი 18.06.2019)

განვითარების დაბალი შესაძლებლობლობების გამო[29], თუმცა 1983 წელს ალ-ბუკერკეში პირველი წარმატებული კონტროლი განხორციელდა, მაგრამ ცალკეული სირთულეების გამო იდეის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა და შეჩერდა[30].

წინა თავში გარკვეულ წილ ვისაუბრე, თუ რა პროცესებმა გამოიწვია სამართალწარმოებაში ახალი სასჯელების შექმნა, თუმცა არ შევხებივარ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, კერძოდ, შინაპატიმრობის გამოყენებით ხდება ციხის გადატვირთულობის განმუხტვა და იმ უზარმაზარი რესურსის დაზოგვა, რაც პატიმრის შენახვა ჯდება[31].

შესაბამისად იმ რეალობაში, როდესაც აშშ მუდამ პატიმართა რაოდენობის პროცენტულობით პირველ ადგილზე იყო და გარკვეულ წილ ინოვატორიც გახლდათ სამართალწარმოების სისტემაში, სულაც არ არის გასაკვირი რომ შინაპატიმრობის ფართოდ დაფუძნება სწორედ იქ მოხდა და მხოლოდ ამის შემდგომ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად (ბრიტანეთი 1990), (ჰოლანდია 1995), (შვედეთი1994) და ა.შ.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე გათვალისწინებული იყო საბჭოთა კავშირის 1923 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ზემოთ ხსენებულ პერიოდსა და კონტექსტში შინაპატიმრობის გამოყენება პოლიტიკური და კრიმინალური დამნაშავეების მიმართ ხდებოდა, თუმცა ამ სასჯელის მოხდის ადგილი განსაზღვრული არ იყო, რაც პოლიტიკური დასჯის ინსტრუმენტს ქმნიდა[32].

დღევანდელი სახით არსებული ელექტრონული მონიტორინგის სისტემის „სამაჯური“-ის საბოლოო სახე 1999 წელს შეიქმნა და მისი გამოყენება დღეში დაახლოებით 6-10 დოლარი ჯდებოდა. შინაპატიმრობა კომპლექსურად გამოიყენებოდა აშშ-ში ელექტრონულ მონიტორინგთან ერთად, თუმცა შესაძლოა მის გარეშეც განხორციელებულიყო, საუბარი ბუნებრივია მოცემული კონტროლის ორ ფორმას - აქტიურს და პასიურს შეეხება. შინაპატიმრობის თავდაპირველი მიზანი, არასრულწლოვნებისადმი ლიბერალური მიდგომების

[29]https://apo.org.au/sites/default/files/resource-files/2003/07/apo-nid7949-1092766.pdf (მოპოვების თარიღი 18/06/2019)

[30]იქვე.

[31]იხ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 136

[32]იხ. Ибрагимов, Т. ИСТОРИЯ РАЗВИТИЯ ДОМАШНЕГО АРЕСТА КАК МЕРЫ ПРЕСЕЧЕНИЯ В РОССИИ. Новосибирск 2017, გვ 57

აღსრულება იყო, თუმცა 1987 წელს მისი გამოყენება სრულწლოვან მსჯავრდებულებსაც შეეხო[33].

საერთაშორისო სამართლის ჩარჩო მუდამ ახდენდა ქართულ სამართალზე გავლენას, შესაბამისად რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა ქართულ სამართალს და ზოგადად ქვეყანას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ამერიკული და ევროპული მოდელის წარმატებული ინსტიტუტების რეცეფციისათვის, მათ შორის შინაპატიმრობის, როგორც სასჯელის შედარებით ნაკლებად ინვაზიური სახის ქართულ სამართლებრივ სივრცეში დასამკვიდრებლად.

2.2 შინაპატიმრობის არსი და მისი აღსრულება

შინაპატიმრობის აღსრულების საკითხს სანამ შევეხებოდეთ უპრიანი იქნება კარგად განვიხილოთ თუ რას წარმოადგენს მოცემული სასჯელის სახე და რა ადგილი უკავია მას ქართულ სასჯელაღსრულებით სისტემაში დღევანდელ რეალობაში.

ვინაიდან მოცემული სანქცია გამოიყენება არა მხოლოდ არასრულწლოვნების მიმართ და ის სრულწლოვნებსაც ეხება, ქართულ სამართლებრივ ჩარჩოში განსახილველად სისხლის სამართლის კოდექსის გამოყენებაც საჭიროა, რომლის 47 - ე პრიმა მუხლი ეთმობა სწორედ ზემოთ ნახსენებ სასჯელის სახეს და მის ზოგად დანაწესს ადგენს. შინაპატიმრობა არის არასაპატიმრო სასჯელის სახე, რომელიც მსჯავრდებულს ენიშნება 6 თვიდან ორ წლამდე ვადით, რომელიც კანონთან კონფლიქტში პირველად იმყოფება. ვალდებულების სახით შინაპატიმრობა გულისხმობს დღე-ღამის გარკვეულ მონაკვეთში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულებას. ბუნებრივია, რომ მოცემული დროის აკრძალვა არ ახდენს ისეთი ჩარჩოს დადგენას, რომელიც ადამიანს ჩვეულებრივი ცხოვრების დინებას მოსწყვეტს და მას სახლში 24 საათიანი რეჟიმით გამოკეტავს.

რაც შეეხებათ არასრულწლოვნებს, ჩვენი მთავარი მეგზური არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი უნდა იყოს, რადგან საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების სიას, რომელთაც სპეციალიზირებული კოდექსი აქვთ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელიც სრულ

[33] https://www.ojjdp.gov/mpg/litreviews/Home_Confinement_EM.pdf (მოპოვების თარიღი 6.7.2019)

შესაბამისობაშია ევროპულ კონვენციასთან და სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტებთან და მოქმედებს 2015 წლის 12 ივნისიდან.

ამკ-ს 69-ე მუხლი და სისხლის სამართლის კოდექსი ერთიან განმარტებას ახდენს შინაპატიმრობის გამოყენების თაობაზე, ოღონდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით მისი დანიშვნა არასრულწლოვნისათვის ხდება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით და თუ პირს ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, ისე რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს სწავლის, ანაზღაურებადი შრომის ან სხვა სოციალური აქტივობებში ჩართულობის პროცესს.

შინაპატიმრობის რამდენიმე ფორმა არსებობს გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით: 1)CURFEW (მსუბუქი ფორმა), რაც გულისხმობს წინასწარ განსაზღვრული დროის მანძილზე სახლში ყოფნის ვალდებულებას, ბუნებრივია საუბარია არის ღამის საათებზე, რადგან რისკ ფაქტორები ამ დროს გაცილებით მაღალია ახალი დანაშაულის ჩადენის ან უბრალოდ კრიმინალ ჯგუფთან დახლოების, 2)HOME DETENTION (ამ ფორმის გამოყენების დროს პიროვნება სახლიდან მხოლოდ აუცილებელ აქტივობებში სამონაწილეოდ გადის, როგორიცაა სკოლა, თერაპია, ფსიქოლოგთან ვიზიტი და ა.შ), 3)HOME INCARCERATION (ამ ფორმის გამოყენების დროს პირს უფლება არ აქვს სახლი საერთოდ დატოვოს და შესაბამისად არც სტუმრები მიიღოს), რაც პრაქტიკულად საპატიმრო სასჯელის სახეს იღებს, იმ განხვავებით, რომ მოცემული სასჯელის მოხდის ადგილი სახლია და არა პენიტენციური დაწესებულება.

როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, კონკრეტულად როგორც პროფესორი მორის შალიკაშვილი მიიჩნევს შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე კონფლიქტში მოდის ზოგიერთ კონსტიტუციურ უფლებასთან [34], რომელზეც შემდგომში უფრო ვრცლად ვისაუბრებ, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ქართული სამართალწარმოება მოცემული სამი სახიდან პირველ ორს უფრო აღიარებს, რაზეც ამკ - ს 69 - ე მუხლიც მეტყველებს და პრაქტიკულად უარყოფს HOME INCARCERATION - ს რადგან პრაქტიკულად წყალში იყრება მოცემული არასაპატიმრო სასჯელით გამოწვეული ყველა სიკეთე.

ალბათ ოდესმე მსჯელობა იმაზეც უნდა მოხდეს, თუ რამდენად სწორია შინაპატიმრობის აკრძალვის მოთხოვნა იმ არასრულწლოვნების მიმართ, რომელმაც მაგალითად მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, რადგან ამერიკის ზოგიერთ შტატში, მაგალითად ალაბამასა და იუტაში შინაპატიმრობა

[34]იხ. შალიკაშვილი,მ. მიქანაძე, გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 137

სხვადასხვა კლასის დამნაშავეების მიმართ გამოიყენება [35], მაგრამ რაც შეეხება ზოგადად შინაპატიმრობას, დღევანდელი რედაქციით, ბუნებრივია სასჯელის ეს სახე ე.წ მეორე შანსს წარმოადგენს, აღზრდის ახალ შანს და არა სამაგიეროს მიზღვას, რაც პრაქტიკულად დღეს უარყოფილია საერთაშორისო და ქართული სამართლებრივი სისტემებით[36].

შინაპატიმრობის აღსრულება ამკ-ს 69-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით დაკავშირებულია ე.წ ელექტრონული სამაჯურის არსებობასთან, რომლის შესახებაც უკვე მქონდა საუბარი, თუ როდის განხორციელდა მისი წარმატებით შექმნა და გამოყენება, საქართველოში შინაპატიმრობა 2016 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში, როგორც სასჯელის ახალი ინოვაციური სახე და ბუნებრივია ქართული მართლმსაჯულებაც აღიჭურვა სპეციალური ელექტორნული სამაჯურების სისტემებით [37] , რომელთა გამოყენებაც შინაპატიმრობის აღსრულებისათვის გადამწყვეტია და რეგულირდება კანონით „ელექტრონული საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-2 მუხლი სწორედ მოცემული ზედამხედველობის მეთოდს ადგენს.

ზოგადად უპრიანია ჯერ განვიხილო საერთაშორისო სამართლის სისტემებში, როგორ ხდება ელექტორნული მონიტორინგი და ზოგადად რა ფენომენს წარმოადგენს იგი. მაგალითად ევროპის ბევრ ქვეყანაში შინაპატიმრობის მონიტორინგის ორი ფორმა არსებობს და ბუნებრივია მათ სხვადასხვა მიზნების გამო იყენებენ, რა თქმა უნდა ვერ ვუარყოფთ ფინანსურ ინტერესსაც[38], რადგან კლასიკური მონიტორინგი,რაც გულისხმობს ფეხზე ე.წ სამაჯურის მიმაგრებას საკმაოდ ძვირია.

არსებობს აქტიური და პასიური კონტროლი მსჯავრდებულზე, რომელიც შინაპატიმრობის სახით დანიშნულ სასჯელს იხდის, აქტიური კონტროლი გასაგებია, გულისხმობს სამაჯურის ხელზე ან ფეხზე ტარებას და GPS - ის მეშვეობით მისი ადგილმდებარეობის დადგენას, ხოლო რაც შეეხება პასიურ კონტროლს მისი სამი ფორმა არსებობს და აქტიური კონტროლისგან განსხვავებით შედარებით მსუბუქ ჩარევას გულისხმობს პიროვნების

---

[35]https://www.ncjrs.gov/pdffiles1/nij/234460.pdf (მოპოვების თარიღი 21.06.2019)

[36]იხ. ლეკვეიშვილი, მ. სტატია „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების კრიმინოლოგიური ასპექტები“, მართლმსაჯულება და კანონი n4(43), თბილისი 2014, გვ 20

[37]http://www.probation.gov.ge/geo/main/index/1303?fbclid=IwAR1t8ho0tztOxNcrGG_rpNANsBNKNoh3RR0H7toU3inRku-zWNFyM403Hck (მოპოვების თარიღი 25.06.2019)

[38]იხ. მჭედლიშვილი - ჰედრიხი, ქ. სტატია „შინაპატიმრობა,როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული,სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება“,სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017, გვ 65

კონსტიტუციურ უფლებებში: 1) პირს ტელეფონით უკავშირდებიან და მის კიდურზე მიმაგრებული გადამცემი ტელეფონის ყუთთან ახლოს ყოფნას ანუ კავშირს ადასტურებს, 2) პირს უკავშირდებიან, შემდგომ ის თავად რეკავს განმაკონტროლებელ ორგანოში და სპეციალურ წინადადებას ამბობს, რის მიხედვითაც ის იდენტიფიცირდება, 3) ხდება მისი შემოწმება და იდენტიფიკაცია ვიდეოფონის მეშვეობით[39].

სანამ ქართულ რეალობაზე გადავიდოდეთ და უშუალოდ მის მდგომარეობას განვიხილავდეთ, უნდა ვახსენოთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2014) ელექტორნული მონიტორინგის აღსრულების შესახებ, რომელიც 2014 წელს გამოიცა და ე.წ დანაწესებს ადგენს ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების შესახებ, რათა ის შედარებით ნაკლები უფლების შემლახავი იყოს, რადგან ელექტორნული მონიტორინგი ლახავს ცალკეულ კონსტიტუციურ უფლებებს და ამას ვერ გავექცევით[40], რადგან ეს მხოლოდ თავის მოტყუება იქნება. კერძოდ, ევროპის საბჭოს მინისტრთა რეკომენდაცია CM/Rec(2014)4 წევრი ქვეყნების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ მოიცავს მითითებას იმის შესახებ, თუ როდის უნდა გამოიყენონს ელექტრონული მონიტორინგი: მაგალითად სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო ეტაპზე, როგორც პატიმრობის შეწყვეტის ან აღსრულების პირობა; ციხიდან პირობით გათავისუფლების ფარგლებში; როგორც ინტენსიური მითითებების და ზედამხედველობის საშუალება; გარკვეული ტიპის დამნაშავეებისათვის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ; პრობაციის სხვა ჩარევებთან ერთად და ა.შ. შესაბამისად მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინება რესოციალიზაციის და პიროვნებებზე შედარებით მსუბუქი ზემოქმედების გარანტია, რაც სისხლის სამართლის მიზნების აღსრულების საქმეში უმთავრესი პირობაა. ზემოთ ნახსენები მიზნების განხორციელება კი მხოლოდ კარგად მომზადებული და გამართული პრობაციის სამსახურის პირობებშია შესაძლებელია, პრობაციის ოფიცრების მომზადების კუთხით ამერიკული მოდელის გათვალისწინება ვფიქრობ კარგი იქნება[41].

შინაპატიმრობის აღსრულებას უამრავი პრობლემა უდგას წინ, განსაკუთრებით დარღვეული კონსტიტუციური უფლებები, ელექტრონული

---

[39]იქვე. გვ 65

[40]იხ. მახარობლიძე, თ. სტატია „შინაპატიმრობა როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში“ გურამ ნაჭყებია 75, საიუბილეო კრებული,თბილისი 2016, გვ 286

[41]https://www.uscourts.gov/news/2017/03/30/probation-and-pretrial-officers-train-state-art-facility (მოპოვების თარიღი 27.06.2019)

მონიტორინგის დაბალი შესაძლებლობა და ფინანსების დაზოგვის სურვილი, თუმცა ფაქტია, რომ შინაპატიმრობა არასაპატიმრო სასჯელთა შორის ის ოქროს შუალედია, რომელიც თავის თავში შეიცავს რესოციალიზაციასაც მაღალი დოზით, გარკვეულ წილ დასჯასაც და ასევე წინა ცხოვრების ჟანსაღად გაგრძელების შესაძლებლობასაც, რაც პრობაციის ოფიცრის მკაცრი კონტროლის შედეგად მიიღწევა[42], შესაბამისად გამართული და მომზადებული პრობაციის სამსახურის არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

როდესაც შინაპატიმრობის აღსრულების თემას ვეხებით საქართველოში არ შეიძლება არ ვახსენოთ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ არსებული საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს ქართულ რეალობაში არა მარტო შინაპატიმრობის გამოყენება, აღსრულების ნორმებს, არამედ სხვა არასაპატიმრო სასჯელთა განხორციელებასაც. ამ კანონის 44(8) მუხლში უშუალოდ განხილულია შინაპატიმრობის აღსრულების წესი, რომლის მე-6 ნაწილიც ადგენს, რომ მოცემული სასჯელის გამოყენება, როგორც წესი ხორციელდება ელექტრონული სამაჯურის სისტემით, თუმცა როგორც უკვე ვახსენე, არსებობს შინაპატიმრობის კონტროლის პასიური ფორმებიც, რომლებსაც ეხება ამავე მუხლის მე-8 პუნქტი, რომელიც ადგენს, პრობაციის ოფიცრის ვიზიტის აუცილებლობას, მაშინ როდესაც ელექტრონული მონიტორინგი პრაქტიკულად შეუძლებელია, შეუძლებლობაში რა იგულისხმება კანონი არ განმარტავს, ალბათ მაღალმთიანი ან სხვა დაუსახლებელი რეგიონის შესახებ არის საუბარი, სადაც GPS - ს მეშვეობით კონტროლი პრაქტიკულადშეუძლებელია, შესაბამისად ჩარევა კონსტიტუციურ უფლებებში შედარებით დაბალი დოზით ხორციელდება, თუმცა პრობაციის სამსახურის მეტი დატვირთვა ხდება.

ძალიან საინტერესოა მოცემული მუხლის მე-10 ნაწილის ჩანაწერი, რომელიც შესაძლებლობას უშვებს, რომ შინაპატიმრობის აღსრულება დაკავშირებული იყოს ფულად ანაზღაურებასთან, კერძოდ მსჯავრდებულის მიერ მოხდეს გარკვეული თანხის ჩარიცხვა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე, რაც დაკავშირებული იქნება მოცემული სასჯელის მიზნების განხორციელებასთან. თუმცა ამ გადასახადისგან თავისუფლდება პირი, რომელიც სარგებლოს სოციალურად დაუცველის სტატუსით. გარკვეულ წილ მოცემული დათქმა კარგიცაა, რადგან სამართლის მიერ თავიდან იქნება

[42]იხ. ხერხეულიძე, ი. სტატია „პრობაციის ინსტიტუტი-არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი“ მზია ლეკვეიშვილი 85,საიუბილეო კრებული, თბილისი 2014, გვ 199

აცილებული ასე ვთქვად ფინანსების დაზოგვის მიდგომა, რაზეც უკვე ვისაუბრე და შედარებით მსუბუქი სასჯელის პირობებს პრაქტიკულად მსჯავრდებული გადაიხდის თვითონ, რაც მის საუკეთესო და აუცილებელ ინტერესებშიც შედის.

შინაპატიმრობა არ არის საპატიმრო სასჯელი, პირს უფლება აქვს დატოვოს სახლი გარკვეული დროის განვმალობაში, თუმცა შეიძლება შეზღუდულ დროზეც მოიხსნას აკრძალვა მისი ან მისი წარმომადგენლის დასაბუთებული მიზეზის გამოთქმის შემდგომ, რასაც მოცემული მუხლის მეცხრე ნაწილი ეხება, რაც პრაქტიკულად მსჯავრდებულს დამატებით სტიმულს აძლევს საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის,რადგან კანონი მის მიმართ შედარებით ლიბერალურია და არ ხდება მისი გაბოროტება და ჩამოშორება მთელი რიგი სოციალური აქტივობებისგან.

შესაბამისად შინაპატიმრობის აღსრულება საქართველოში მაქსიმალურად მორგებულია, როგორც მსჯავრდებულის ისე საზოგადოების და კანონის ინტერესებს, ამასთანავე არ არის უგულებელყოფილი სასჯელის წესის დამრღვევთა მდგომარეობაც, რომლის დროსაც პრობაციის უფროსის მიერ ხდება მიმართვა განაჩენის გამომტან სასამართლოზე. ვინაიდან საუბარი არასაპატიმრო სასჯელის პირობების დარღვევაზე მიდგა, ბუნებრივია მოცემული წესი შინაპატიმრობაზეც ვრცელდება, მოცემული კანონის 44-ე მუხლში განსაზღვრული ორი მომენტი რაც პირობების დაღვევად ითვლება მდგომარეობს შემდეგში: 1)პრობაციის ოფიცრის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, 2)სასამართლოს მიერ დაკისრებული მოვალეობის არ შესრულება ან მასზე უარის თქმა. შინაპატიმრობას რომ შევეხოთ დარღვევად ჩაითვლება მაგალითად: სამყოფელის დატოვება აკრძალულ საათებში, სამაჯურის დაზიანება, რაც ამკ - ს 77 ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით მოსამართლის მიერ მოცემული სასჯელის განხილვას იწვევს, რაც მისი ძალაში დატოვებით ან უფრო მკაცრი სასჯელის დაწესებით ხდება, ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვნის მიერ მოსახდელი სასჯელის გამოთვლა მოცემული მუხლის მე-8 ნაწილით ხორციელდება, მაგალითად შინაპატიმრობის მოსახდელი ნაწილის 1 საათი უდრის საზოგადოებისათვის შრომის 5 საათს , რომელიც შეიძლება დაეკისროს არასრულწლოვანს. კანონი მსჯავრდებულს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლებასაძლევს გაასაჩივროს არასაპატიმრო სასჯელის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში მისი გამოტანიდან 1 თვის ვადაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ საჩივრდება.

არ შეიძლება არ შევეხოთ ბრძანებას „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის წესის

დამტკიცების შესახებ“, შინაპატიმრობის აღსრულება ძირითადად სწორედ ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით ხდება, შესაბამისად მოცემული კანონი უმთავრეს რეგულაციას წარმოადგენს. საქართველოში ელექტრონულ მონიტორინგზე ზედამხედველობას ანხორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტო, რომლის მართვის ცენტრიდანაც ხდება 24 საათიანი კონტროლი შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ. კონტროლის მექანიზმში ძირითად ფუნქციას ანხორციელებს შავი ან სხვა ფერის ე.წ სამაჯური, რომელიც ძირითადად კოჭზე, ან სახელურის ადგილას მაგრდება, რომელშიც ჩამონტაჟებულია ე.წ „გული“ [43] , რომელიც GPS -ს მეშვეობით მუდმივ სენსორულ კონტაქტზეა მართვის ცენტრთან და ყოველ წუთში სიგნალის გაგზავნის მეთოდით გადასცემს მოცემულ ცენტრს პირის ადგილმდებარეობას. მოცემული მოწყობილების სამაჯურში დამაგრებულია სენსორული კაბელები, რომელიც ძალისმიერი მოხსნის შემთხვევაში ინფორმაციას გადასცემს მთავარ კომპიუტერს, რომელსაც ის უკავშირდება და ატყობინებს პირის მიერ მოწყობილების დაზიანების ფაქტს. ასეთ ვითარებაში დაზიანებული ნივთის ანაზღაურების ხარჯებს იღებს მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი, რომლის ვალდებულებას განხილულია კანონში „არასაპატიმრო სასჯელთა აღასრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ მუხლი 44 (7). დაზიანების გარეშე მოცემული სამაჯურის მოხსნა შეუძლებელია და მისი მაკონტროლებელის დამონტაჟება ხდება სასჯელის მოხდის ადგილას, ამ შემთხვევაში სახლში უფლებამოსილი პირების მიერ. მოცემული მაკონტროლებელი 360 გრადუსის მეშვეობით უდგენს პირის გარკვეულ დისტანციას,რომლის გადალახვაც იწვევს დაკისრებული პირობების დარღვევას. შეიძლება დადგეს ისეთი მომენტიც, როდესაც მსჯავრდებულს გარკვეულ სოციალურ აქტივობაში მონაწილეობის მიღება არ სურს სამაჯურის გამოყენების დროს, რაც სტიგმატიზაციის მიზეზებით აიხსნება, ასეთ ვითარებაში კანონი არ ტოვებს პირს გარიყულ მდგომარეობაში და მას საშუალებას აძლევს დროებით განთავისუფლდეს მისგან, ამ დანაწესს ადგენს „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ კანონი, რომლის მე-4 მუხლი პირს გარკვეულ შეზღუდვას უხსნის.

[43] https://accidentshappenatty.com/ankle-bracelets-work/ (მოპოვების თარიღი 28.06.2019)

2.3 შინაპატიმრობის უპირატესობა სხვა არასაპატიმრო სასჯელებთან

არასაპატიმრო სასჯელები წარმოადგენს სასჯელის ისეთ ფორმებს, რომელთა აღსრულებაც დაკავშირებული არ არის პიროვნების თავისუფლების აღკვეთასთან და სასჯელის მოხდის ადგილიც ბუნებრივია არ უკავშირდება პენიტენციურ დაწესებულებას. ყოველივე ამას თავისი პლიუსები აქვს, რომლებზეც უკვე ვისაუბრე და შემდგომშიც ვისაუბრებ, თუმცა მიმაჩნია, რომ უკეთესი იქნება თუ შინაპატიმრობას უშუალოდ არასაპატიმრო სასჯელებთან მიმართებაშიც განვიხილავთ დადებითი და უარყოფითი კუთხით, რადგან შედარებით ნოვაციას წარმოადგენს სასჯელარასრულებაშით სისტემაში და მისი გამოყენება სხვა არასაპატიმრო სასჯელებთან მიმართებაში შედარებით მცირეა რასაც თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს.

შინაპატიმრობა მართალია სრულწლოვანი მსჯავდებულების მიმართაც გამოიყენება და რა თქმა უნდა სხვა არასაპატიმრო სასჯელებიც, მაგრამ ჩვენი სამსჯელო თემა არასრულწლოვნებს ეხება და განხილვასაც სწორედ ამ ჭრილში მოვახდენ.

ჯარიმა, როგორც არასაპატიმრო სასჯელის სახე მოცემულია სსკ-ს 42 - ე და ამკ - ს 68 - ე მუხლში და ცალკეულ კითხვებს ბადებს, კერძოდ 68 (1) ნაწილში საუბარია კანონიერ შემოსავალზე, შესაძლებელია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების უმეტესობას საერთოდ არ ჰქონდეს კანონიერი შემოსავალი და მოცემული ფორმულირებით საკითხის დასმა გარკვეულწილად ჯარიმას, როგორც სასჯელის სახეს გამოუყენებლად ტოვებს[44], თუმცა აქ საგულისხმო სხვა გარემოებაცაა, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს რესოციალიზაციასათვის ოჯახთან კარგი ურთიერთობა სჭირდება, თუ მას ჯარიმას მშობელი, ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი გადაუხდის, ხომ არ მოხდება მათ შორის სოციალური გაუცხოვება[45], და ვინაიდან სასჯელის ინტერებისათვის მაინც აუცილებელია, რომ ჯარიმის გადახდევინების უფლება არასრულწლოვანთან ერთად მის კანონიერ წარმომადგენელსაც ჰქონდეს ისმის კითხვა: რა გავლენას მოახდენს

[44]იხ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, თბილისი 2016, გვ 131

[45]იხ. იქვე. გვ 130

ეს არასრულწლოვანზე? ჯარიმას, როგორც სასჯელის სახეს თავისი ბუნებიდან აქვს ერთჯერადი პასუხისგების მომენტი, რაც პრაქტიკულად საზოგადოებიათვის სასარგებლო შრომისგან და ასევე შინაპატიმრობისგან განასხვავებს, არადა სასჯელის მიზანი პრევენციაცაა და ამავე დროს სასჯელის გარდუვალობის ბუნების გათვალისწინება აუცილებელია [46]რაც პრაქტიკულად შემცირებულია ჯარიმის დროს, ვინაიდან გარდუვალობაში აუცილებლად უნდა მოვისაზროთ კანონის მხრიდან ეფექტური ზეგავლენის მოხდენაც, ეს შესაძლებელია სუბიექტური მოვლენა იყოს, მაგრამ იმ ფაქტს ვერ გავექცევით, რომ ჯარიმის გამოყენების დროს პასუხისმგებლობა პირის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. შედარებით მცირეა და სამომავლო რეციდივის შემთხვევას შედარებით ზრდის.

ამასთან ჯარიმის დაკისრების დროს სახელმწიფო პრივილეგირებულ მდგომარეობაშია, კერძოდ ის იღებს ფინანსურ სარგებელს კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანისგან და ერთგვარად ასუსტებს მას მატერიალურად [47] , შესაძლოა შეიძლება ამ ფინანსური დანაკლისის აღმოვხვრის იდეამ მას ახალი დანაშაულსიკენაც უბიძგოს, რადგან შინაპატიმრობისგან განსხვავებით პრაქტიკულად არ ჩანს აღმზრდელობითი ეფექტი სასჯელის მოცემული სახისგან.

თუ შინაპატიმრობის განხორციელების დროს პიროვნება პრაქტიკულად ყოველდღიურად არის დამოკიდებული და გაკონტროლებული კანონის მიერ, ამ დროს ხდება მისი აღზრდა, რადგან კანონის ზემოქმედება მასზე შედარებით ძლიერად აისახება, ჯარიმის შემთხვევაში კანონთან ურთიერთობა პრაქტიკულად ერთჯერადად ხორციელდება რაც თითქოს ქმნის დაუსჯელობის სინდრომს.

შინაპატიმრობის უპირატესობა ჯარიმასთან ერთად ისიც არის რომ, მისი გამოყენება პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში შეიძლება, მათ შორის მესამე მსოფლიოს ქვეყნებშიც, სადაც განსაკუთრებით მძიმე სოციალური ფონია და პრაქტიკულად ჯარიმის გამოყენება ვერ ხერხდება ასეთი სიდუხჭირის ფონზე[48], და ეს ირონიულიც იქნებოდა საკმაოდ, რადგან დანაშაულის გამომწვევ მიზეზებში ფინანსური მდგომარეობა მუდამ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა და პირის დასჯა ასე ვთქვად ფულის გადახდევინებით, როცა მისი მთავარი მიზანიც მისი შვოვნა იყო რბილად რომ ვთქვად არაგონივრულია.

---

[46]იხ. დვალიძე, ი. „სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები“, თბილისი 2013, გვ 29

[47]იხ. იქვე. 43

[48]იხ. პრადელი, ჟ, შედარებითი სისხლის სამართალი, 1999, გვ 426

არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების (ტოკიოს წესები) მე-10 მუხლის 4-ე ნაწილის მიხედვით დამნაშავეთა რესოციალიზაციის მიზნით მათ შეიძლება გაეწიოთ ფსიქოლოგიური, სოციალური, მატერიალური დახმარება, რადგან მოხდეს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია და კავშირის გამყარება ადამიანთა ჯგუფებთან, ამგვარი დანაწესის და რეკომენდაციის ფონზე ჯარიმის, როგორც სასჯელის ეფექტურობა კითხვის ნიშნებს ბადებს, რადგან პრაქტიკულად ფინანსური ინტერესის გამო ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში, როგორიცაა მაგალითად ქურდობა, ამ პირის მიერ ჯარიმის გადახდევინება არაეფექტურია.

ამკ - 70 – ე მუხლი ეხება არასრულწლოვნისთის საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, მოცემული სასჯელი საკმაოდ იშვიათად გამოიყენება და ბუნებრივია ამას მთელი რიგი მიზეზები განაპირობებს, შედარების თვალსაზრისით უნდა ითქვას, არასრულწლოვნისათის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა პრაქტიკულად მის შემოსავლის გარეშე დატოვებას გულისხმობს, მაშინ როდესაც შინაპატიმრობის აღსრულება პირიქით ხელს არ უშლის ანაზღაურებადი სამსახურის შესრულებას, მართალია იშვიათად რომ არასრულწლოვანი ფლობდეს ისეთ უნარებს, რაც მას გარკვეული პროფესიის, თუ საქმიანობის განხორციელების საშუალებას მისცემდა, თუმცა ასეთის არსებობის შეთხვევაში ხდება მისი დისტანცირება მოცემული პროფესიისგან, შემოსავლის გარეშე დატოვება, რაც კანონის მხრიდან პრაქტიკულად აჩენს ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს, რაც ფინანსური მდგომარეობის აღდგენისკენ იქნება მიმართული. შინაპატიმრობის აღსრულების დროს კი პრაქტიკულად ყველა სამართლებრივი, თუ მატერიალური სიკეთის შენარჩუნება და გამოყენება ხდება. შესაბამისად ისიც ვთქვათ, რომ საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დროს პრაქტიკულად უგულებელყოფილია რესოციალიზაცია და პირველ საფეხურზე პრევენცია დგება, პრევენცია მოცემული პროფესიით ახალი დანაშაულის ჩადენის.

ისტორიულად ქართულ სამართალში მიჩნეული იყო, რომ სასჯელის დაწესების დროს საჭიროა დაცულ იქნეს ორი მიზანი: 1) დამნაშავის სამართლებრივი ინტერესების დაზიანება და 2) ქმედებისა და მოქმედის გაკიცხვა [49] , თანამედროვე პერსპექტივიდან კი საერთაშორისო ინსტირუმენტებით გათვალისწინებულ სანქციონირების პრინციპებს „ორმაგი მიზანი ახასიათებს: ბავშვის კეთილდღეობის ხელშეწყობა და

[49]იხ. ვაჩეიშვილი, ა. სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი 1960, გვ 208

პროპორციულობის პრინციპის დაცვა“ [50] . სწორედ ამ უკანასკნელის გათვალისწინებით ოქროს შუალედის ისე დაცვა, რომ არ მოხდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიერ სამართალთან უფრო გაუცხოვება ყველაზე უკეთ სწორედ შინაპატიმრობისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების დროს ხორციელდება.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა განხილულია სსკ-ს 44 და ამკ-ს 71-ე მუხლებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესებით არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით „პეკინური წესები“ - ს მე - 17 მუხლის მიხედვით არასრულწლოვნის მიმართ გამოსაყენებელი სასჯელი უნდა იყოს პიროვნების მახასიათებლებზე და დანაშაულის ხასიათზე დამოკიდებული, შესაბამისად იმ ფაქტს ვერ გავექცევით, რომ არასაპატიმრო სასჯელებს შორისაც კი შეიძლება ზოგიერთი მეტად იყოს კონკრეტულ პიროვნებაზე მორგებული და რესოციალიზაციისკენ მიმართული, როგორც შედეგის მომცემი სანქცია.

საზიგადოებისათვის სასარგებლო შრომაც და შინაპატიმრობაც საერთო უპირატესობების მატარებელია, მაგალითად პენიტენციური დაწესებულებების განმუხტვა, რესოციალიზაციის მაღალი შესაძლებლობა, პასუხისმგებლობის ხარისხის დონე ჩადენილი არამართლზომიერი ბრალეული ქმედების გამო, თუმცა დღევანდელ რეალობაში, სწორედ სოციალური პრობლემების გამო მოცემული სასჯელები თითქმის გამოუყენებელი რჩება [51], რაც შესაბამისად დიდ პრობლემებს ქმნის, რადგან პრაქტიკულად არ ხდება სამართლის მიზნების მიღწევა. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დროს ხდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულების უსასყიდლო მუშაობა 40 – 300 საათამდე, დღეში არა უმეტეს 4 საათისა და თითქოს ეს არ არის მძიმე მარწუხების მატარებელი აქტი, თუმცა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება ვიფიქროთ, რომ უსასყიდლო შრომამ პიროვნებაში ახალი პროტესტის გრძნობა გააჩინოს, ამ პექსრექტივიდან შინაპატიმრობის უპირატესობა ჩემი აზრით სწორედ ის არის, რომ ფინანსური თვალსაზრისით პირზე ცუდად არ აისახება, მეტიც მას საერთოდ არ უშლის ხელს მოახდინოს გარკვეული სამუშაოს შესრულება და ამისათვის მიიღოს შემოსავალიც, შინაპატიმრობის გამოყენება მას უფრო რეალიზებულ პიროვნებად აქცევს და

[50] იხ.ვაიკუნდი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი 2013 ლექცია 6

[51]იხ. ხერხეულიძე, ი. სტატია „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა-არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი“, მართლმსაჯულება და კანონი N2, თბილისი 2013, გვ 125

შესაბამისად ნაკლებად უბიძგებს კანონის წინააღმდეგ წასვლისკენ, მაშინ როდესაც შესაძლებელია მაგალითად სკვერში მუშაობამ არასრულწლოვანშიგარკვეული ამბოხი გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გარდატეხის ასაკში, ბავშვმა შეიძლება საკმაოდ მძიმედ აღიქვას მისი თანატოლების დანახვა სკვერში, როდესაც ის შრომობს და პრაქტიკულად ვერ ერთობა, ამისგან განსხვავებით. შინაპატიმრობის დროს სამაჯურის დამალვა შეიძლება, სტიგმატიზაციის ელემენტის საგრძნობლად შემცირებაც და თავისუფალი დროის ქონაც, ეს ყველაფერი კი უფრო კარგად და სასიკეთოდ აისახება სასჯელის მიზნების მხრივ.

შინაპატიმრობის ყველაზე დადებით ელემენტად მიმაჩნია, სწორედ ის, რომ პროტესტის გრძნობა არასრულწლოვანში არის შედარებით მცირე, ხოლო მისი კონტროლის შესაძლებლობა საკმაოდ მაღალი. რადგან არ უნდა შევუშინდეთ იმის აღიარებას რომ, ის უკვე გარკვეული რისკ ჯგუფის წევრია, რომლისგანაც რეციდივი მოსალოდნელია და სწორედ ამიტომ, თანმიმდევრული კონტროლის განხორციელება ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით, გამართლებულია. მაშინ როდესაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დროს მსჯავრდებული კონტროლი პრაქტიკულად ვერ ხორციელდება ისეთი დოზით და ხარისხით როგორიც საჭიროა, რადგან ამკ-ს 75-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ელექტრონული მონიტორინგის გამოყენება არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების დროს, შესაძლოა განხორციელდეს არასრულწლოვნის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით 1 წლის ვადით, თუმცა ამავე კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით მოცემული დათქმები არ მოქმედებს, როცა სასჯელის სახედ დანიშნულია შინაპატიმრობა, შესაბამისად კანონმდებლობა ელექტრონული მონიტორინგის განხორციელებას შინაპატიმრობის აღსრულების დროს უფრო ხანგრძლივი ვადითაც მიიჩნევს დასაშვებად, რაც ბუნებრივია ზრდის კონტროლის მექანიზმებს არასრულწლოვნის ქცევაზე.

თუმცა ეს კონტროლი უნდა იყოს სისხლის სამართლის მიზნებით და არა კონსტიტუციური უფლებების დარღვევის მიზნით განპირობებული. რადგან სოციალური სამართლიანობის აღდგენისათვის აუცილებელია სახელმწიფომ „დაიცვას სამართლიანობა და გამოიყენოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესატყვისი სასჯელი[52], რათა სისხლის სამართლის მიზნების და პრინციპების განხორციელება შურისძიებას არ დაემსგავსოს.

[52]იხ. გოთუა, ზ. სისხლის სამართალი - სასჯელი, თბილისი 2001, გვ 8

თავი III

3.1 არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა და შინაპატიმრობა

ფრაზა: „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები“ ძალიან დიდი ხანია მთელ რიგ კითხვებს ბადებს, კერძოდ თუ რა არის საუკეთესო ინტერესები? : 1) ის რაც მოზარდს სურს ? 2) ის რაც მისგან საზოგადოებას სურს? 3) ის რაც მისგან მის ოჯახს სურს? 4) თუ ის რაც მისგან სამართალს სურს?, ხშირ შემთხვევაში მოზარდის ფსიქიკა ვერ ახდენს პრიორიტეტების და მიზნების სწორად განსაზღვრებას, მით უმეტეს როდესაც საუბარი კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდს ეხება, რომელსაც ასე ვთქვად „ფეხი ერთხელ უკვე დაუცდა“.

ამკ - ს მესამე მუხლის მე - 4 ნაწილში განმარტებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები ქართული კანონმდებლობის მიხედვით, როგორც „უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვიარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება“.

მოცემულ დეფინიციას თუ დავაკვირდებით ჩემს მიერ ჩამოთვლილ ყველა ვარიანტს აერთიანებს, როგორც სახელმწიფოს, ისევე პიროვნების, მისი ოჯახის და საზოგადოების ინტერესებს, მაგალითად როდესაც სახელმწიფო იყენებს სასჯელს, როგორც იძულების ღონისძიებას და მას ინდივიდუალურ, პირად ხასიათსარგებს [53] , ითვალისწინებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, მაგალითად არასრულწლოვნის ინტერესს „აღიზარდოს ხელახლა“ [54] , შესაბამისად საუკეთესო ინტერესების ზოგადი განმარტება

[53]იხ. ვარძელაშვილი, ი. სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ 36

[54]გოთუა, ზ. სისხლის სამართალი - სასჯელი. თბილისი 2001, გვ 10

როგორც ბავშვის, ისე მისი ოჯახის და მთლიანად სახელმწიფოს ინტერესების ერთობლიობაა, ჯანსაღი ინტერესების, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებობს. სწორედ ამაზეა საუბარი ბავშვთა უფლებათა კონვენციის მესამე მუხლში, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ ნებისმიერი ქმედების განხორციელების წილ დაცული უნდა იქნეს არასრულწლოვნის ინტერესები, როგორც მართლმსაჯულების პრინციპები და კანონმდებელმა ან სამართლის აღმასრულებელმა დასახული მიზნების მიღწევის ყველაზე ჰუმანური და მსუბუქი საშუალება მოძებნოს [55] ,

ვინაიდან ჩემი ხედვა, შინაპატიმრობის გამოყენებას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის მიმართ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის მატარებლად მიიჩნევს, აქვე უნდა აღინიშნოს ის სამართლებრივი ხარვეზებიც, რაც მის აღსრულებას შეიძლება სდევდეს თან. ცალკეულ კითხვებს ბადებს, მაგალითად : შინაპატიმრობის განმაკონტროლებელი დეტექტორი, რომელიც მაგრდება სასჯელის მოხდის ადგილას, ანუ იმ სახლში სადაც სხვა პიროვნებებიც ცხოვრობენ, ხომ არ არის მათ პირად სივრცეში შეჭრა ?! მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპია გაკიცხვა მხოლოდ იმას შეეხოს, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და პრაქტიკულად საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვია [56] . ეს პრობლემური საკითხი ლიტერატურაში დააყენა პროფესორმა შალიკაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც ინდივიდს იცავს „საცხოვრებელში საჯარო ხელისუფლების, როგორც ფიზიკური, ისე არაფიზიკური შეღწევისგან“ [57] შესაძლოა დაიღვეს მოცემული სასჯელის აღსრულების პროცესში.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა რა თქმა უნდა რესოციალიზაციაა პირველ რიგში, რაც როგორც ვახსენე ოჯახთან კარგი ურთიერთობით და აღდგენილი კავშირებით მიიღწევა, მაგრამ როდესაც სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენებით ხდება მის მიმართ ცალკეული სასჯელის დანიშვნა, ამ შემთხვევაში შინაპატიმრობის, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოცემული პრინციპით დანიშნული სასჯელი, რომელიც მხოლოდ მსჯავრდებულს შეეხება, აღსრულების მომენტში აჩენს დისკომფორტს სხვა პირების ყოველდღიურობაშიც და მოცემული

[55]იხ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ. ნაჭყებია, გ. თოდუა, ნ. თბილისი 2018, გვ 659

[56]იხ. გამყრელიძე, ო. სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბილისი 2013, გვ 47

[57]იხ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, თბილისი 2016, გვ 138

დისკომფორტი გარკვეულწილად ლახავს ზემოთ ნახსენებ კონსტიტუციურ უფლებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ვინაიდან შინაპატიმრობა საუკეთესო ინტერესების მთელ რიგ სიას ანხორციელებს იდეალურად, მაგალითად სწავლაში ხელის არ შეშლა, ანაზრაურებადი სამუშაოს ქონა, სოციალური აქტივობების მიღება, ოჯახთან კონტაქტი, კრიმინალური წრეებისგან დისტანცირება, ოჯახის წევრების პირადი სივრცის შეზღუდვით გამოწვეული ზიანი, ასეთ შემთხვევაში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უმჯობესია, რომ დათმენილ იქნეს ოჯახის წევრთა მხრიდან.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას მისი აღზრდის კუთხით, რასაც დანაშაულის პრევენციის საუკეთესო მექანიზმად დიდი მნიშვნელობა აქვს, შეუძლებელია განხორციელდეს მოცემული პრინციპების უგულებელყოფით, ერთგვარად კანონი მოვალეცაა გარკვეული ძალდატანება განახორციელოს პიროვნებაზე, რომლის დროსაც ამ პრინციპების ჩარჩოში მოექცევა და კანონით გამოწვეული ტკივილი არ იქნება იმგვარი, რომ პიროვნების ნგრევა გამოიწვიოს, მაშინ როდესაც ტკივილს მისი აღზრდა და გამოწრთობაც კი შეუძლია [58] ჩამოყალიბების კუთხით. უსაფრთხოების თვალსაზრისით შინაპატიმრობა, საპატიმრო და სხვა არასაპატიმრო სასჯელებისგან განსხვავებით მეტად ღირებულია, რადგან მასში სოციალურად სწორი ქცევის სწავლება და ბავშვის აღზრდა ხდება, ასევე ხდება მისი ჩამოშორება ან არ დაკავშირება კრიმინალურ სუბიექტებთან, რისი განმაპირობებელიც პენიტენციური დაწესებულებაა არასრულწლოვნის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევაში, თუნდაც ჯარიმის შემთხვევაში, ნაკლებად ხორციელდება ის აღზრდისა და კონტროლის მექანიზმი, რაც სახეზეა შინაპატიმრობის გამოყენებისას. პირის კონტროლი პრაქტიკულად ვერ ხორციელდება და რისკი იმატებს დანაშაულის რეციდივის, რადგან დროში შეუზღუდავად ხდება კონტაქტი ე.წ „ქუჩის ბიჭებთან“, სადაც თვითრეალიზაციის სურვილს რეციდივამდე მივყავართ[59]

ჯანმრთელობის დაცვის და განათლების კუთხით რაც შეეხება საკითხს, შინაპატიმრობა ჯანმრთელობის დაზიანების მინიმალურ რისკსაც კი არ შეიცავს და იგი სრულაიდ უსაფრთხოა, რადგან ე.წ ელექტრონული დეტექტორები არ გამოყოფენ არნაირ გამოსხივებას და გარკვეულ წილ არც მძიმე საგნებს წარმოადგენენ, შესაბამისად ფიზიკური კონდიციების დაზიანებასთან საქმე ვერ გვექნება, ხოლო განათლებას რაც შეეხება აქვე უნდა ვთქვათ, რომ

[58]იხ. კრისტი, ნ. ტკივილის საზღვრები, რედ. შალიკაშვილი, მ. გიორგაძე, გ. 2017, გვ 20

[59]იხ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 39

განათლება თავადვე არის კრიმინალის პირველი უარმყოფელი მოვლენა და რადგანაც ოჯახურ და სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა ბავშვისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია [60] არ შეიძლება არ აღინიშნოს სასჯელის მოცემული სახის ჰუმანური და რესოციალიზაციისკენ მიმართული ბუნება. კერძოდ მსჯავრდებულს დაუბრკოლებლად შეუძლია მიიღოს სწავლა განათლება სკოლაში, დაესწროს გაკვეთილებს იმის პარალელურად, რომ მოიხადოს სასჯელიც და გააცნობიეროს მისი წილი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობაში.

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას რაც შეეხება უკვე საკმაოდ ვიმსჯელეთ, მაგრამ საგულისხმოა ერთი ფაქტი, სრულწლოვნის და არასრულწლოვნის რესოციალიზაცია შედარებით სხვადასხვა ფენომენია, თუ რესოციალიზაცია არასრულწლოვნის შემთხვევაში მისი აღზრდით მიიღწევა, სრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი ასე ვთქვად გადამზადებაა საჭირო, რადგან ის შედარებით უკეთ აანალიზებს მის მდგომარეობას, შესაბამისად მოზარდის ასაკის გათვალისწინება სასჯელის წარმატებულად განხორციელების უცილო გარანტს წარმოადგენს [61] და შინაპატიმრობის გამოყენების დროს სწორედ ამ ასაკის სწორად განსაზღვრება უნდა მოხდეს, რატომ ? ვახსენე, იმიტომ, რომ როგორც აღინიშნა შინაპატიმრობა არის ოქროს შუალედი კანონის ძალდატანებას და პიროვნების სამართლებრივ სიკეთეებს შორის, სწორედ ამისი გაანალიზებით მიიღწევა რესოციალიზაცია, რაც ბუნებრივია ცალკეული პიროვნებების მახასიათებლებზეა დამოკიდებული.

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ სწორედ სახელმწიფოს ნება და სურვილია მოხდეს პირის რესოციალიზაცია, რადგან როდესაც ის იყენებს საკუთარ „უფლებას სასჯელზე“ [62] , ამ უფლების განხორციელების შედეგში გულისხმობს რესოციალიზაციას და არა დასჯას ან შურისგებას.

შინაპატიმრობა კი ვერანაირად ვერ იქნება შურისძიების ელემენტების მატარებელი, მაშინ როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოხდის ადგილად მუდამ ასოციაციურად ციხე წარმოუდგება ადამიანთა უმეტესობას, შინაპატიმრობისას პირი სასჯელს იხდის სახლში, ოჯახის გარემოცვაში, აქვს მუშაობის, განათლების სკოლაში მიღების და ზოგადად

[60]იხ. ვუჩკოვიჩშაჰოვიჩი, ნ. დოეკი, ი. ცერმატენი, ჟ. ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რედ. ალექსიძე, ლ. ხუციშვილი, ქ. ბერნი 2012, გვ 130

[61]ივანიძე, მ. თოდუა, ნ. ვარძელაშვილი, ი. მახარობლიძე, თ. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი 2017, გვ 23

[62]იხ. ნაჭყებია, გ. სისხლის სამართლის საგანი, თბილისი 1997, გვ 80

გარკვეულ თავისუფლად გადაადგილების უფლება, ცალსახად უსამართლო იქნება მოცემული სასჯელის სახეს შურისძიება ვუწოდოთ, მაშინ როდესაც პირის პასუხისმგებლობის დონე მაქსიმალურად ჰუმანურად არის აღქმული და შეზღუდულია უფლებების ძალიან მცირე ჯგუფი, იმ მიზნით, რომ კანონის მიერ მოხდეს აღმზრდელობითი ფუნქციის განხორციელება[63]

3.2 არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების უფლება და შინაპატიმრობა

როდესაც საუბარი არასაპატიმრო სასჯელებს ეხება და განსაკუთრებით შინაპატიმრობას, მოზარდის საუკეთესო ინტერესებთან ერთად აუცილებლად უნდა შევეხოთ ასევე მის ჰარმონიული განვითარების მიზანსაც, როგორც უმთავრეს დანაწესს.

ბუნებრივია ჰარმონიული განვითარების უფლება გარკვეულ წილ შედის და ეკუთვნის მის საუკეთესო ინტერესს, მისი ოჯახის ინტერესს, სამართლის და სახელმწიფოს ინტერესს, რადგან ჰარმონიული განვითარების უფლება ასე ვთქვად აღზრდის შემადგენელი ნაწილია იმ თვალსაზრისით, რომ როდესაც არსებობს გარკვეული მატერია, მაგალითად აღზრდა, მისი ხელისშემწყობი მრავალი მომენტი და მოვლენა უნდა იყოს სახეზე რათა მცდელობამ ფუჭად არ ჩაიაროს.

ზოგისთვის ჰარმონიული განვითარების მომენტი გარკვეული მატერიალური საჭიროებების ქონით შემოიფარგლება მხოლოდ, როგორიცაა მაგალითად ფუფუნების საგნები და ასე შემდეგ, თუმცა ყოველივეს თავისი როლიაქვს მოცემული კომპონენტის განხორციელების ასპექტში და საბოლოო ჯამში მკაცრად სუბიექტურია.

თუ დანაშაულის პრევენციის სოციალურ მოდელს განვიხილავთ, დავინახავთ რომ სოციალური ფაქტორები ხშირად ახდენს გავლენას დანაშაულებრივ საქმიანობაზე და ამაზე არავინ დაობს, თუმცა სოციალური პრობლემების მოგვარება რამდენად მოაგვარებს კრიმინალური საქმიანობის საკითხებს ესაა საკითხავი, რადგან სოციალური პრობლემების დაყოფაც

[63]იხ. სურგულაძე. ლ სისხლის სამართალი - დანაშაული, თბილისი 1997, გვ 9

უამრავ ეტაპად შეიძლება და მაშინ გამოდის მათი მორგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის პარალელში მოგვიწევს[64].

შესაბამისად ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზანი დანაშაულის პრევენციაცაა, რაც მხოლოდ აღზრდით და ჰარმონიული განვითარების პირობებში მიიღწევა მივალთ დასკვნამდე, რომ შინაპატიმრობა გარკვეულ წილ სოციალური მიზნების გამთვალისწინებელი და დამცველიც უნდა იყოს.

ჰარმონიული განვითარების უფლება თავისი არსით გულისხმობს ჯანსაღ გარემოს, რომელშიც მოზარდის ინტერესების და პიროვნების რეალიზაციაც ხდება, რადგან სწორედ თვითრეალიზების და დაჩაგრულობის ჭიდილი ახდენს ხშირად მოზარდში იმ გარდაქმნას, რომელსაც ის კანონთან კონფლიქტში მოჰყავს. [65] გარდა ამისა ჰარმონიული განვითარების პირობისათვის აუცილებელია ახლობლებთან კონტაქტი, კავშირი, ურთიერთობების არ გაწყვეტა, სოციალურ უფსკრულში არ აღმოჩენა, თვითრეალიზაცია ეკონომიკური თვალსაზრისითაც და სწავლის კუთხითაც. ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია კავშირის არ ქონდა კრიმინალურ სუბიექტებთან. მოცემული უფლება პირდაპირ კავშირშია პიროვნების თავისუფლების განვითარების უფლებასთან, რადგან მოზარდს უფლება აქვს მოახერხოს განვითარება სხვადასხვა სფეროში, მაგალითად ეკონომიკურში და შემდგომ მოახერხოს ამ სამართლებრივი სიკეთის რეალიზება[66].

შინაპატიმრობა, როგორც არასაპატიმრო სასჯელის სახე ხელს არ უშლის პიროვნების რეალიზაციას შემდეგი პირობების გამო, არ ხდება პირის მოწყვეტა მისი ცხოვრებიდან ისეთი დოზით, რომელიც მასზე ამ კუთხით მნიშვნელოვან ცუდ ეფექტს იქონიებს, თუმცაღა ხდება მისი თანმიმდევრული კონტროლი, რაც მომავალ პრობლემას გვაცილებს თავიდან. ამასთან მოცემულ დროში პირს უფლება რჩება ისარგებლოს ყველანაირი სოციალური აქტივობით, მაგალითად ისეირნოს, ესტუმროს ბიბლიოთეკას, მოინახულოს მეგობრები, წავიდეს საყიდლებზე, არ გაწყვიტოს კავშირი ოჯახის წევრებთან და გარკვეულ წილ ოჯახის ანუ ყველაზე ძვირფასი სოციუმის წევრად ისევ მიიჩნიოს თავი, მას შანსი და უფლება აქვს ჰქონდეს სამსახური, რომელიც მისი კარიერული წინსვლის და მატერიალური სიკეთის განმაპირობებელია, შესაბამისად

[64]იხ. ბიორგო, ტ. რედ. გიორგაძე, გ. შალიკაშვილი, მ. 2019, გვ 36

[65]იხ. შალიკაშვილი, მ. სტატია“ კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი“ სამართლის ჟურნალი N1-2, თბილისი 2010, გვ 199

[66]იხ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 79

არასრულწლოვანს მოცემული სასჯელის მოხდის დროს არ ექნება არასრულფასოვნების განცდა, რომელიც ხშირად დანაშაულის გამომწვევი ყველაზე ხშირი ფაქტორი არასრულწლოვნებში.

შინაპატიმრობის ყველაზე დიდი პლიუსი არის ის რომ მასში დაბალანსებულად არის წარმოჩინებული შენარჩუნებული თავისუფლება და რესოციალიზაციის ის ელემენტი, რაც გულისხმობს კრიმინალურ ელემენტებთან კონტაქტის გაწყვეტას, ჰარმონიული განვითარების პირობა ბუნებრივია პირდაპირ არის დამოკიდებული სისხლის სამართლის მიზნების განხორციელებაზე, კერძოდ ამ შემთხვევაში შინაპატიმრობის მიზნების აღსრულებაზე, რაც გულისხმობს რესოციალიზაციას და საზოგადოებაში ინტეგრირებას ხელახლა აღზრდის პარალელურად, რაც ბუნებრივია კრიმინალურ წრეებთან კონტაქტით ვერ მიიღწევა.

მიმაჩნია, რომ შინაპატიმრობის აღსრულების დროს პრაქტიკულად არ ირღვევა კონსტიტუციური უფლებები, იმის ფონზე, როდესაც ყველაფერი ფარდობითია და სისხლის სამართლის კანონი გარკვეულ წილ აზიანებს კიდეც პირის უფლებებს, მოცემული თანაზომიერება აუცილებელია [67] , ისევ რესოციალიზაციისათვის.

როდესაც სასჯელის აღსრულება ხდება ჰარმონიული განვითარების უფლება შეზღუდული, რომ იყოს გარკვეულწილად სასჯელს შურისძიების სახე ექნებოდა, როგორც ვალი, რომელსაც პირი იხდის სოციალური ნორმების დარღვევის გამო, შესაბამისად არა მხოლოდ არასრულწლოვნებში, სრულწლოვნებშიც უნდა იყოს შენარჩუნებული ჰარმონიული განვითარების უფლება, დიახ, მიუხედავად იმისა რომ სრულწლოვანია განვითარება ასე ცუდად არ უნდა ისმოდეს, რადგან ჰარმონიული ცხოვრების სტილი არის იმ სასიკეთო ელემენტების განმახორციელებელი, რაც კრიმინალთან ბრძოლას სრულწლოვან ადამიანების სფეროშიც გაუწევს.

[67]იხ. ვარძელაშვილი, ი. სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ 40

3.3 არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა და შინაპატიმრობა

როდესაც საუბარია სასჯელის დაწესებაზე და მითუმეტეს არასრულწლოვნის მიმართ, მაშინვე უნდა გაგვახსენდეს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, როგორც თავად მისი წარმატების საიდუმლო, მსჯავრდებულზე უფრო ეფექტური და ასე ვთქვად რელევანტური გავლენის მოხდენის შესაძლებლობის გამო.

არასრულწლოვნებთან სასჯელის მიზანია რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და დანაშაულის თავიდან აცილება, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მიზნები ისეთი სუბიექტების შემთხვევაში, როგორიც არასრულწლოვანია სხვადასხვაგვარად შეიძლება მიიღწეს. შესაბამისად „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრად პერსონალურია“ [68], რისი ყველაზე ცხადი დადასტურებაც არის პასუხისმგებლობა ჯგუფური დანაშაულისათვის, რა დროსაც პირები, რომლებმაც ერთი სიმძიმის და ხარისხის დანაშაული ჩაიდინეს პასუხს აგებენ მხოლოდ მათი მონაწილეობის შესაბამისად და არა ერთიანად, ერთი სასჯელის ქვეშ, შესაბამისად ნებისმიერი სასჯელის დანიშვნის დროს მისი განწესება ინდივიდუალური მიდგომით ხდება და ეს არც შინაპატიმრობის დროსაა გამონაკლისი.

როდესაც შინაპატიმრობას და ინდივიდუალურ მიდგომას პარალელში განვიხილავთ უნდა მივაქციოთ ყურადღება, იმას თუ რა ვითარებაში არის შინაპატიმრობა უფრო გამოსადეგი, ანუ უნდა ვისაუბროთ იმ ინდივიდუალურ სიტუაციაზე, რაც ნებისმიერ მოზარდის დროს შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად შეიძლება შინაპატიმრობის აღსრულება პრაქტიკულად უარესი შედეგების მომტანი იყოს მოზარდისათვის, ასეთი ვითარება იკვეთება, როდესაც არასრულწლოვნის ოჯახი საკუთრივ არის კრიმინალური ტენდენციის მატარებელი, შესაბამისად შინაპატიმრობის გამოყენება რეკომენდირებული არ არის. კვლევებით იკვეთება, რომ არსებობს რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების ოთხი კატეგორია : 1)უყურადღებო ოჯახი - მოზარდების

[68]იხ. ნაჭყებია, გ. დვალიძე, ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2007, გვ 27

მიმართ ყურადღების დათმობა ნაკლები ინტენსივობით ხორციელდება; 2)კონფლიქტური ოჯახი - ხდება მუდმივი კონფლიქტი, რაც მოზარდების ფსიქინაზე უარყოფითად აისახება და მათში ცალკეულ აგრესიას აჩენს; 3)გზას აცდენილი ოჯახი - სიტუაცია, რომლის დროსაც გარკვეული პირების მიერ ხდება კრიმინალის მიმართ ხელშეწყობა, ან გარკვეული თანაგრძნობის გამოხატვა; 4)დანგრეული ოჯახი - ურთიერთობის გაწყვეტამდე ან მის შემდეგ წარმოშობილი ოჯახური კონფლიქტები[69].

სწორედ ზემოთ აღნიშნული ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს მოსამართლემ, როდესაც სახეზეა მოზარდი, რომელიც კანონთან კონფლიქტში იმყოფება და მოსამართლის წინაშე დგას მისთვის სასჯელის დანიშვნის საკითხი. არსებობს კანონის მოთხოვნა მისთვის საპატიმრო სასჯელის უკიდურეს შემთხვევაში გამოყენების შესახებ და მოსამართლეც არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებას აპირებს. მოზარდის შესახებ ინფორმაციაში ირკვევა, რომ მის ოჯახში საკმაოდ არაჯანსაღი გარემოა, კერძოდ სახეზეა ოჯახური ძალადობა და დაძაბულობა ყოველდღიური. გვაქვს ვითარება, როდესაც შინაპატიმრობის გამოყენება უბრალოდ გარკვეულ რისკებს თუ არ უკავშირდება არც რაიმე შედეგის მომტანია, ასეთ შემთხვევაში არასაპატიმრო სასჯელის ამ სახის გამოყენება დაუშვებელია და სახელმწიფოს მიერ ფინანსებიცფუჭად უნდა დაიხარჯოს.

შინაპატიმრობის განხორციელების დროს, პირს გარკვეული უფლებები ეზღუდება და ამაზე საუბარი უკვე მქონდა, შესაბამისად ინდივიდიალური მიდგომის განხორციელების დროს, პიროვნებისა და მისი ინდივიდუალური პროფილის გაანალიზების შემთხვევაში უნდა მოხდეს დაფიქრება იმაზე შედეგის მომტანი იქნება თუ არა პირის მიმართ დაწესებული ასეთი შეზღუდვები. შესაბამისად მივიდეთ დასკვნამდე, რომ კანონთან კონფქლიტში მყოფი პირის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა შეიძლება მისთვის განმაპირობებელიც იყოს შინაპატიმრობის გამოყენების ან ამკრძალავიც, რადგან სასჯელის აღსრულების ეტაპზე რისკები მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი და მათი გამოყენება პრაქტიკულად აუცილებლად დამდგარ რესოციალიზაციას უნდა ნიშნავდეს.

ამკ-ს 14-ე მუხლი სწორედ არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალურ მიდგომას შეეხება და ხაზს უსმევს იმ მახასიათებლების ერთობლიობას, რომლის მიხედვითაც მისდამი მიდგომა და სასჯელის დაწესება ხორციელდება, ინდივიდუალური მიდგომის უგულებელყოფის შემთხვევაში პრაქტიკულად

[69]იხ.ვაიკუნდი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი 2013 ლექცია 9

შეუძლებელი ხდება რესოციალიზაციის განხორციელება, რადგან მოცემული პროცესის წარმატებისათვის საჭიროა მოზარდის ცხოვრების თუ პიროვნების კარგად შეცნობა. ამკ-ს 27-ე მუხლი კი შეეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობას სამართალწარმოებისას, რომელშიც ხდება არასრულწლოვნის მახასიათებლების გაერთიანება და მისდამი განსახორციელებელი მიდგომებისათვის გარკვეული ჩარჩოს დადგენა.

თავი IV

4.1 სტიგმატიზაციის საფრთხე

შინაპატიმრობას, როგორც არასაპატიმრო სასჯელს უამრავი დადებითი შედეგი ახლავს, თუმცა უნდა მოხდეს იმ რისკების და პრობლემების გათვალისწინებაც, რომელიც შეიძლება მოცემული სასჯელის აღსრულებამ გამოიწვიოს.

სტიგმატიზაცია ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, რომელიც შეიძლება შინაპატიმრობის აღსრულების ეტაპზე დადგეს და მისი მსხვერპლი თავად მსჯავრდებული გახდეს, ამ შემთხვევაში არასრულწლოვანი, როგორც ჩემი კვლევის სუბიექტი.

ეტიკეტირების თეორიის შესახებ მოსაზრება პირველად 1938 წელს გამოთქვა ამერიკელმა სოციოლოგმა ფრანკ ტანენბაუმმა. მას მეორე

სახელითაც მოიხსენიებენ, როგორც „იარლიყის მიკერების“ თეორია [70] და როგორც წესი ხორციელდება სოციალური კონტროლის ორგანოების ან მართი წარმომადგენლების მიერ : მაგალითად პოლიციის, მედიის და ა.შ[71].

საზოგადოების მხრიდან ხშირად გვსმენია ფრაზა „ნაციხარი“, რომელიც რა თქმა უნდა უარყოფით კონტექსტში მოიხსენიება და გარკვეულ წილ აუგ დამოკიდებულებას ნიშნავს მოცემული სუბიექტის მიმართ, კერძოდ მოცემული პირებისადმი დაბალია ნდობის სტანდარტი, პატივისცემის ხარისხი და იდეაში სხვა სოციალური დამოკიდებულებები. საზოგადოება არ იყენებს ფრაზას როგორიცაა „ყოფილი მსჯავრდებული“, „ყოფილი პატიმარი“, არამედ იყენებს „ნაციხარი“, ბუნებრივია საუბარია პირის ერთი და იგივე მდგომარეობაზე , თუმცა უშუალოდ სიტყვის სტანდარტიდან თუ გამოვალთ და მის ქვეშ მოსაზრებულ ფსიქოლოგიურ ასპექტს ჩავწვდებით დავინახავთ თუ რა უარყოფით დამოკიდებულებას ესმევა ხაზი.

მოცემული შემთხვევები გარკვეულ წილ საპატიმრო სასჯელმოხდილ ადამიანებს ეხებოდა, თუმცა უშუალოდ შინაპატიმრობას რომ შევეხოთ აქ პრობლემას ე.წ ელექტრონული მონიტორინგის სისტემის ანუ სამაჯურის გამოყენებაში დავინახავთ, რომელიც პირის კანონთან კონფლიქტს ხაზს უსმევს.

სტიგმატიზაციის პრობლემა გარკვეულ წილ იზოლირებულს ხდის მოზარდს, რადგან საზოგადოების მხრიდან წამოსული უარყოფითი დამოკიდებულება მას ხელს უშლის სოციუმთან ინტეგრაციაში[72], შესაბამისად პრაქტიკულად არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების დროსაც კი ჩნდება გარკვეული ხიდჩატეხილობის პრობლემა სხვა ადამიანებთან მოცემული მიზეზების გამო და საფრთხე ექმნება სისხლის სამართლის მიზნების.

უშუალოდ პრობლემას რომ შევეხოთ, განვიხილოთ კანონი „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მე - 6 მუხლში წერია, რომ მონიტორინგი ხორციელდება ელექტრონული სამაჯურით. საზოგადოების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულების გაჩენას არასრულწლოვნის მიმართ სწორედ მის სხეულზე სამაჯურის გამოჩენა იწვევს. კერძოდ, მოცემული ნივთი გარეშე პირისთვის გასაგებს ხდის, რომ მის წინაშე არის მსჯავრდებული, ადამიანი რომელიც იმყოფება კანონთან კონფლიქტში

[70]იხ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 47

[71]იქვე. გვ 48

[72]იხ. შალიკაშვილი,მ. მიქანაძე. გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 109

და შესაბამისად მისდამი სიმპათიებით არ იმსჭვალება. ეს ალბათ უფრო წმინდა სტერეოტიპული პრობლემაა, რომელიც სწორედ არასრულწლოვნისადმი ტოლერანტული დამოკიდებულებით უნდა აღმოიფხვრას და იმის გააზრებით, რომ საზოგადოებაც ერთგვარად პასუხისმგებელია ბავშვის აღზრდაზე, ფართო გაგებით.

მაგალითად აშშ-ში არსებობს ე.წ „საზოგადოებაზე დაფუძნებული გამოსასწორებელი პროგამები". ამგვარი პროგრამები ემყარება რეინტეგრაციის ფისოლოფიას, რომლის მიხედვითაც დამნაშავე და მისი მიმღები საზოგადოება უნდა შეიცვალოს, საზოგადოება ძალიან მნიშვნელოვანია და თამაშობს გადამწყვეტ როლს იმაში, რომ ხელი შეუწყოს დამნაშავის ხელახლა დაბრუნებას ცხოვრებაში. გამოსწორების ამოცანაა, ამ მიდგომის მიხედვით, მოიცავს საზოგადოებასა და დამნაშავეს შორის არსებული კავშირის რეკონსტრუქციას ოჯახური კავშირის, დასაქმების, აღზრდისა და განათლების მეშვეობით და მის მოთავსებას სოციალური ცხოვრების მთავარ მიმართულებებში[73]

ეს პრობლემა არასრულწლოვნებში უფრო ცხადად დგას, რამდენიმე მიზეზის გამო: 1)არასრულწლოვანს კონტაქტი სჭირდება მის თანატოლებთან სოციალური თვითრეალიზაციის მიზნით, 2)რადგან ზოგადად ფსიქოანალიზის მომენტი სისხლის სამართლის ყოველი სუბიექტის მიმართ საჭიროა რომ განხორციელდეს მოცემული მეცნიერების მიზნების განსახორციელებლად [74] ისიც უნდა ვთქვათ რომ არასრულწლოვნების მიერ მოცემული პრობლემა, რასაც „ნასამართლობა" ჰქვია უფრო კრიტიკულად აღიქმება ხშირად ვიდრე ეს სინამდვილეში არის, მივდივართ დასკვნამდე რომ ელექტრონული სამაჯური შესაძლოა გახდეს პიროვნების გამრიყავი იმ საზოგადოებრივი ჯგუფისგან, რომელთანაც კონტაქტი მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ამდენად, შინაპატიმრობის უარყოფით მხარედ უნდა დასახელდეს ის, რომ არის რისკი იმისა, რომ სკოლაში არასრულწლოვანი მოსწავლეების მიერ და თუნდაც სამსახურის პირობებში გახდეს გარიყული საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან მისი ე.წ „კრიმინალური წარსულის გამო" რაც პრაქტიკულად დანაშაულის რეციდივს და სხვა ფსიქიატრიულ პრობლემებს საკმაოდ რეალურად იწვევს ხშირ შემთხვევაში[75]. სწორედ სტიგმატიზაციის

[73]იხ. Juvenile Justice in America, Clemens, B. Stuart, J, M, second edition, 1998, Prentice Hall, Inc, pg 252-254

[74]იხ. მინდაძე, ო. ფორჩხიძე. ბ სტატია „ფსიქოანალიზის როლი სისხლის სამართალწარმოების პროცესში", მართლმსაჯულება და კანონი N4(43), თბილისი 2014, გვ 156

[75]https://www.mediasphera.ru/issues/zhurnal-nevrologii-i-psikhiatrii-im-s-s-korsakova-2/2018/1/1199772982018012068 (მოპოვების თარიღი 30.06.2019)

რისკზე საუბრობს პროფესორი შალიკაშვილი, როცა წერს, რომ : „ელექტრონული მონიტორინგის პირობებში მსჯავრდებულს ხელზე ან ფეხზე უკეთია ელექტრონული მოწყობილობა, ეს კი იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი ინდეტიფიცირებულ ქინას სხვა ადამიანების მიერ როგორც სამართალდამრღვევი, რაც, თავის მხრივ ზრდის მისი სტიგმატიზაციის რისკს[76]

სტიგმატიზაციის რამდენიმე გამომწვევი ფორმა არსებობს[77] და მათი განხილვა რელევანტურია : 1) სუბიექტური - ამ ფორმის დროს განსაკუთრებით ხაზი ესმევა პირად გარკვეულ სტერეოტიპებს, რომ მაგალითად ყოფილი მსჯავრდებული შეიძლება საზოგადოებისათვის საშიში იყოს და მასთან კონტაქტი სახიფათოა. შინაპატიმრობასთან კავშირში რომ განვიხილოთ ასეთი ვითარება შეიძლება შეიქმნას სკოლაში თანატოლების მხრიდან არასრულწლოვნის მიმართ, ან უბრალოდ საზოგადოებაში ცალკეული პირების მიერ, რომელთაც კავშირი მოცემულ სუბიექტებთან სახიფათოდ მიაჩნიათ. 2) ობიექტური - ასეთ დროს სტიგმატიზაციას პირები ახდენენ იმ გამოცდილების ხარჯზე, რომელიც მათ ჰქონიათ, მაგალითად ოდესმე თუ ნასამართლევი პირი მათ ცუდად მოექცა, დაჩაგრა ან უკანონობა ჩაიდინა, ბუნებრივიამათი უარყოფითი დამოკიდებულება და უნდობლობა ყველა ყოფილი მსჯავრდებულის კუთხით ვრცელდება.3) დისკრიმინაციული - აქ უნდა განვიხილოთ გარკვეული შიში საზოგადოების მათგან განსხვავებული პიროვნებების მიმართ, ამ შემთხვევაში იმ პირის მიმართ, რომელიც ატარებს ე.წ ელექტრონულ სამაჯურს და შინაპატიმრობას იხდის, ხშირად ასეთი „განსხვავებული“ ადამიანები არიან გარკვეული შევიწროების ობიექტები.[78]

სტიგმატიზაციაზე დაფიქრებისას საჭიროა იმ გამოსავლების ძიება, რაც ამ პრობლემას მოაგვარებს და შინაპატიმრობის ამ შემთხვევაში გარკვეულ წილ მიზნებსაც აღუსრულებლად არ დატოვებს, იმ რეალობაში როდესაც დღეს მსოფლიოში „სასჯელის კრიზისი“ აღინიშნება[79], რაც გულისხმობს იმას რომ ტენდენციურად დანაშაულების რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით იზრდება, შესაბამისად იზრდება უარყოფითი დამოკიდებულება კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი ადამიანების მიმართ და მათ მიმართაც, ვისაც ერთი ნასამართლობა აქვს.

---

[76]იხ. შალიკაშვილი,მ. მიქანაძე. გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 137

[77]http://www.bekhterev.ru/upload/documents/%D0%9A%D0%BB%D0%B8%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%BA%D0%BE%20%D0%A2.%D0%92.pdf (მოპოვების თარიღი 2.07.2019)

[78]http://medpsy.ru/meds/meds483.php (მოპოვების თარიღი 3.07.2019)

[79]http://www.iuaj.net/node/1699 (მოპოვების თარიღი 3.07.2019)

შინაპატიმრობის აღსრულების დროს გარკვეული სტიგმატიზაცია ოჯახის წევრების მიმართაც ხდება, საზოგადოება ცუდად აღიქმება ბუნებრივია ნასამართლევი პირი, შესაბამისად ხშირად მოცემული ოჯახების მიმართაც ხდება გარკვეული თავის არიდების მომენტი, შესაბამისად მოცემული სტიგმატიზაცია ეტაპი არა მხოლოდ მსჯავრდებულ პირს, არამედ სხვა ადამიანებსაც ეხებათ, რაც კიდევ უფრო ართულებს სისხლის სამართლის მიზნების განხორციელებას, რადგან ასე ვთქვად ჰარმონიული დამოკიდებულება პირისათვის მის ოჯახთან ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოა.

სტიგმატიზაციის გარკვეული საკითხების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება თუ მოცემული დეტექტორების დამალვა იქნება შესაძლებელი, მაგალითად შარვლის ქვეშ, ან გარკვეული პულოვერის საფარ ქვეშ, რაც ისევ პირის ფსიქოლოგიაზე იმოქმედებს დადებითად და მას უარყოფით ფსიქოლოგიურ ფონს არ დაუმატებს.

4.2 პირადი და ოჯახური ცხოვრების,პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებში ჩარევის საფრთხე

შინაპატიმრობას როგორც სასჯელის სახეს აღსრულების მომენტში შეიძლება გარკვეული კონფლიქტი წარმოიშვას ცალკეულ კონსტიტუციურ უფლებებთან, რომელთა დარღვევის შესაძლო ხასიათზეც საუბრობენ მეცნიერები ლიტერატურაში[80]

კვლავ სტიგმატიზაციის საკითხს რომ შევეხო, ამკ - ს მე - 13 მუხლის მეორე ნაწილით არასრულწლოვნის ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია არის გასაიდუმლოებული, რითიც დაცულია მისი პირადი ცხოვრების უფლება, ხოლო თუ შინაპატიმრობის აღსრულების ასპექტებს დავუკვირდებით, მისი არსრულება სამაჯურის გარეშე პრაქტიკულად არ ხორციელდება, გამოდის რომ მისი აღსრულება

[80]იხ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 137

დასაწყისშივე კონფქლიტში მოდის ისევე არასრულწლოვნის ინტერესებთან[81], და არღვევს მის კონსტიტიციურ უფლებებს , შესაბამისად გამოდის, რომ ერთმანეთის პირისპირ ორი სიკეთე და ინტერესი დგას: პირის უფლებები და მისი ინტერესები.
პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის დამალვა პრაქტიკულად რესოციალიზაციის მიზანია და ამაზე ვერ ვიდავებთ, ასევე რესოციალიზაციის მიზანია პირის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება და მისთვის მეორე შანსის მიცემა, ანუ მიზანი ასე ვთქვათ ერთი და იგივეა უბრალოდ კონსტიტუციური უფლების „არ შელახვის" გარეშე პრაქტიკულად ვერ მოხდება სასჯელის აღსრულება, რაც ჩემი აზრით არასრულწლოვნის ცხოვრებაში მეტად უარეს შედეგებს მოიტანს, ვიდრე ცალკეული კონსტიტუციური და სხვა სახის უფლებების დროებით შეზღუდვა.

ერთმანეთის პირისპირ რომ დავაყენოთ მოცემული უფლებები და მიზანი, რაც ამ უფლებებში ჩარევით მიიღწევა ჩემი აზრით ეს უკანასკნელი აშკარად გადაწონის ყოველივეს და ჩარევა გამართლებული იქნება, ოღონდ ისიც უნდა დავამატოთ, რომ შეიძლება ისეთი სამაჯურითაც განხორციელდეს კონტროლი, რომელიც პრაქტიკულად არ ჩანს და შესაბამისად კონსტიტუციური უფლების დარღვევაზე ვერ დაიწყება მსჯელობა.

პრაქტიკაში ხშირად ყოფილა შემთხვევები, როდესაც ელექტრონული სამაჯურის ტარებას გარკვეული დისკომფორტი შეუქმნია პირებისათვის[82] , საუბარია გარკვეული კუნთების დაზიანებაზე, ან მაგალითად იმ მომენტზე, როდესაც პირს ანაზრაურებადი სამუშაოს დროს გარკვეული სპეციფიკური ტანსაცმლის მორგება უწევს, რაში ხელსაც ელექტრონული მონიტორი უშლის. გარდა ამისა შესაძლოა მან არასრულწლოვნებს გარკვეულ აქტივობებში ჩართვაში ხელი შეუშალოს და პრაქტიკულად თავისუფალი დროის გატარება სახლში მოუწიოთ, რაც რესოციალიზაციას კითხვის ნიშნებს უჩენს.

საუბარი არ არის აქ ცალკეულ დისკომფორტზე, არამედ საკითხი ისეთ მნიშვნელოვან აკრძალვებს უკავშირდება, როგორიცაა კონსტიტუციის მე - 9 მუხლით დადგენილი წამების დაუშვებლობა და 28-ე მუხლით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის უფლება, მაშინ როდესაც

[81]იხ. მახარობლიძე, თ. სტატია „შინაპატიმრობა,როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში" , გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბილისი 2016, გვ 286

[82]იხ. მჭედლიშვილი - ჰედრიხი, ქ. სტატია „შინაპატიმრობა,როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული,სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება",სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017, გვ 67

სამაჯური ადამიანზე მოქმედებს ასეთი სახით ბუნებრივია ეს საკითხი ყოველთვის შეიძლება დადგეს ზემოაღნიშნულ კონტექსტში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე - 3 მუხლი კრძალავს წამებას, და მას სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებად მიიჩნევს, ის სარგებლობს აკრძალვის აბსოლუტური ხასიათით და შესაბამისად მასში ჩარევის ყველანაირ საფუძველს უარყოფს.

მასში როდესაც სახელმწიფო სამართლის განხორციელების ეტაპზე ხშირად ერევა ადამიანების უფლებებში, სწორედ ჩარევის ხარისხის და ხასიათის დადგენაა საჭირო, რათა მას წამების კვალიფიკაცია მიენიჭოს[83], შესაბამისად უნდა განვიხილოთ რამდენად არის კუნთების დასიება და გარკვეული დისკომფორტი წამება ჩადენილი სახელმწიფოს მიერ.

სანამ უშუალოდ კონკრეტულ საკითხს შევეხებოდე განივიხლოთ რომ ზემოაღნიშნული პრობლემები იდგა ევროპის უამრავ ქვეყანაში[84], სადაც მოცემული პრობლემების შესამსუბუქებლად სამართალწარმოებაში შინაპატიმრობის გამოყენების ვადა 6 თვით შემცირდა[85], რათა უარყოფითი შედეგების ეფექტი მსჯავრდებულებზე უფრო ნაკლები ყოფილიყო.

ცხადია, რომ პრობლემა არის ეს, რადგან არ შეიძლება სასჯელის მოხდა გარკვეულ ტკივილებს უკავშირდებოდეს, რადგან ამ დროს პიროვნება კანონის მიმართ პატივისცემით უნდა განიმსჭვალოს და არა ზიზღით, რა დროსაც ხდება მასზე შურისგება, თუმცა მეტად საეჭვოა, რომ მე-3 მუხლით დადგენილი ზღვარი გადალახული იყოს ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების გამო მიყენებული ფიზიკური ტკივილის შედეგად.

თუმცა შინაპატიმრობის აღსრულების დროს კიდევ ილახება ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი უფლება, საქართველოს კონსტიტუციაში დაცული - პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები, რომელშიც მოცემული სასჯელი ყველაზე მეტად ერევა.

მოცემული უფლება ბუნებრივია არ არის აბსოლუტური და მასში ჩარევა დასაშვებია შესაბამისი მიზნის და სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად,თუმცა მოცემული მიზანი ქმნის სწორედ იმ დასაშვებობით

---

[83]გოცირიძე, ე. „პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა' წამების ან სხვაგვარი არაჰუმანური მოპყრობის აკრძალვა", საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი 2013, გვ 116

[84]იხ. მჭედლიშვილი - ჰედრიხი, ქ. სტატია „შინაპატიმრობა,როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული,სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება",სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017, გვ 74

[85]http://library.court.ge/upload/51392017-10-23.pdf (მოპოვებულია 3.07.2019)

სტანდარტს რომელიც კონკრეტული უფლების „კანონიერად დარღვევის“ საშუალებას იძლევვა სხვა მიზნების გათვალისწინებით რასაც ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-16 მუხლში ვხვდებით.

უშუალოდ კონკრეტული უფლების ფარგლებზე მსჯელობისას უნდა ითქვას რომ ელექტრონული მონიტორინგი, რაც გულისხმობს სახლში გადამცემის დამონტაჟებას პრაქტიკულად უტოლდება ოჯახში შეღწევას [86] მ რითიც ბუნებრივია ილახება პირადი სივრცის მომენტი, არა მხოლოდ მსჯავრდებულის, არამედ სხვა ოჯახის წევრებისაც, როგორც პროფესორი შალიკაშვილი აღნიშნავს: „შინაპატიმრობის დროს ელექტრონული მონიტორინგი შესაძლოა ოჯახის სხვა წევრებთან კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზი გახდეს“[87].

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვად, როგორც ამას სწორად აღნიშნავს პროფესორი შალიკაშვილი, შინაპატიმრობის აღსრულების დროს ხდება „პრაივესის უფლებაში (righttoPrivacy)” ჩარევა [88] და მოცემული სიკეთის ხელყოფა. კერძოდ პრაივესის უფლება გულისხმობს სამ ეტაპს : 1) განმარტოების უფლება; 2) ადამიანის უფლება იყოს განცალკევებული; 3) ადამიანის უფლება იცხოვროს მის პირად სივრცეში ჩარევის გარეშე. შესაბამისად თითოეული ეტაპი რომ განვიხილოთ დავინახავთ სასჯელის ზემოქმედებას მოცემულ უფლებებზე, როგორც დარღვეულ სიკეთეებზე.[89]

აუცილებლად მიმაჩნია ისიც ვახსენოთ რომ სახელმწიფოს მიერ მოცემულ უფლებებში ჩარევა არ გულისხმობს, მხოლოდ იმას რომ ხდება შეღწევა ასე ვთქვად პირად სივრცეში, ჩარევა შეიძლება გამოიხატებოდეს კონტროლითაც მოცემულ სფეროებზე [90] და სახელმწიფოს არ აქვს არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება მოცემული უფლებების დაცვის, მას ეკისრება პოზიტიური ვალდებულებაც [91] მოახდინოს ოჯახური კავშირების ხელშეწყობა მსჯავრდებულებსა და მათ ოჯახებს შორის.

---

[86]მახარობლიძე, თ. სტატია „ელექტრონული ზედამხედველობა,როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში“, მაია ივანიძე-50 საიუბილეო კრებული, თბილისი 2017, გვ 28

[87]იხ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 139

[88]იხ. არსოშვილი, გ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. პრობაციის სამართალი „ თბილისი 2015, გვ 167

[89]იხ, შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 138

[90]იხ. გოცირიძე, ე. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი 2013, გვ 96

[91]იქვე. გვ 97

პირად სივრცეში ჩარევა იმ კუთხით, რომ პირი მუდამ არის ვინმეს მეთვალყურეობის ქვეშ და პრაქტიკულად საშუალება არ აქვს დარჩეს თავთან მარტო ბუნებრივია არღევს მის პირად სივრცეს და ამ უფლების საწინააღმდეგ.ზოგადად ცალკეული უფლების დარღვევა არ ნიშნავს, იმას რომ საქმე გვაქვს რაღაც ბრუტალურ მიდგომასთან, რადგან აუცილებელია მიზნის განხილვაც, იმ მიზნის მიღწევის კუთხით როდესაც ხელი ეშლება პირის მიერ დანაშაულის განმეორებას ჩემი აზრით მოცემული ჩარევა გამართლებულია, ამას ისიც ემატება, რომ თუ არასაპატიმრო სასჯელის ალტერნატივად საპატიმრო სასჯელს განვიხილავთ, იქ კონტროლი ხორციელდება ისეთი ხარისხით რომ პირს გადაადგილებაც კი ეკრძალება, შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ მართალია შინაპატიმრობა არღვევს მოცემულ პრინციპს გარკვეულწილად, მაგრამ ეს ხდება ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე.

თუ მსჯავრდებულის მიმართ გამართლება სახეზეა მიზნებიდან გამომდინარე დარღვეული კონსტიტუციური უფლებების, ვერანაირ გამართლებას ვერ ვხედავ მისი ოჯახის წევრების გადმოსახედიდან, გარდა ოჯახური კავშირების და ნათესაური სიყვარულის გარდა, რის გამოც შესაძლებელია მოცემული დარღვევა ატანადი იყოს და მასში გარკვეული მიზანიც კი ერიოს, თუმცა გამართლების თვალსაზრისით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯი ამ კუთხით ვერანაირად იქნება გამართლებული, რადგან როგორც ვახსენე სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მიხედვით დისკომფორტის ობიექტი და განმცდელი მხოლოდ მსჯავრდებული უნდა იყოს. შესაბამისად ასეთი მიზნებიდან მომდინარე მცირეოდენი დისკომფორტი, ტოლელირებული უნდა იქნეს ოჯახის წევთა მხრიდანაც, მით უფრო, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები, ისედაც საჭიროებენ ზრუნვას და დახმარებას ოჯახის მხრიდან. როგორც ჰირში მიუთითებს: „ თუ არასრულწლოვანი მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის მშობლებთან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთმა არასრულწლოვანმა ჩაიდინოს დანაშაული, თუ მათ შორის კავშირი სუსტია, მაშინ არასრულწლოვნები არ გაიზიარებენ საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს ან პატივს არ სცემენ ავტორიტეტებს და შესაბამისად ალბათობა იმისა, რომ მათ ჩაიდინონ დანაშაულებრივი ქმედება - გაიზრდება“[92]

მიუხედავად ამ ყველაფრისა, როდესაც ოჯახის წევრების პირადი ცხოვრების კონტროლიც კი ხდება და დაცულ სფეროში ჩარევის განცდა იქმნება შეიძლება რესოციალიზაცია არ შედგეს, რადგან მათ მსჯავრდებულის

[92]იხ. Juvenile justice systems, international perspectives, edited by John A. Winterdyk, published by Canadian Scholars' Press Inc, Toronto Ontanio, pg 289-293

მიმართ გარკვეული პროტესტის გრძნობა გაუნჩდეთ. იმ რეალობაში როდესაც ავტომანქანაც კი პირად სივრცედ აღიქმება ადამიანის [93] , ბუნებრივია საცხოვრებელ სახლში მოცემული ჩარევა მეტ პროტესტს გააჩენს.
ჩემი აზრით შინაპატიმრობის მხრიდან ცალკეული უფლებების დარღვევა გამართლებულია მთელი რიგი მიზნებიდან გამომდინარე, რომლებზეც ვისაუბრე და კვლავ გავიმეორებ, კერძოდ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებას მოზარდისათვის ისეთი ემოციური შოკი და უარყოფითი განცდები მოაქვს, რომ ამის საპირწონედ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება და შინაპატიმრობის აღსრულების დროს გარკვეული უფლებების შელახვა ნამდვილად გამართლებული და მისაღებია. თუნდაც მოზარდის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რომ დავფიქრდეთ დროებითი შეზღუდვები და ჩარევები არის ის საფასური, რასაც ის იხდის ე.წ „მეორე შანსისათვის“, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე პენიტენციურ დაწესებულებაში კრიმინალური წრეებისგან განხორციელებული ფსიქოლოგიური ან სხვა გავლენების შემდგომ მისი რესოციალიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია და კრიმინალურ წრეს ახალი მიმდევარი უჩნდება.

თავი V

5.1 შინაპატიმრობის გამოყენება არასრულწლოვნებთან მიმართებაში

მოცემული სტატისტიკები და გარკვეული ინფორმაცია აღებულია სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშიდან [94], რომელიც არის საჯარო ინფორმაცია.

[93]იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლაენტის წინააღმდეგ“

მაგალითად 2019 წლის იანვრის თვეში საქართველოს მასშტაბით ორი არასრულწლოვნის მიმართ იქნა გამოყენებული შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, ანუ სისხლის სამართლის ორი საქმე დასრულდა მოცემული სანქციის გამოყენებით, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ორივე ადამიანი მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო და ერთი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო მეორე სამეგრელო-ზემო სვანეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა სასჯელდადებული.

2019 წლის თებერვლის თვეშიც ორი პირის მიმართ იქნა გამოყენებული შინაპატიმრობა, ერთი ქვემო ქართლის, ხოლო მეორე იმერეთის რეგიონში, ისიც უნდა აღინიშნოს რომ მოცემული სასჯელის გამოყენების მოთხოვნით ორი საქმე იყო შემოსული, თბილისის და იმერეთის რეგიონში, შესაბამისად სტატისტიკურად გამოდის, რომ იმერეთის სასამართლომ სრული ეფექტურობით იმოქმედა.

2019 წლის მარტის თვეში ოთხი არასრულწლოვანი პირის მიმართ დაწესდა შინაპატიმრობა, ოთხივე პირი თბილისის რეგიონიდან იყო და ოთხივე მამაკაცი იყო, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ როგორც მოცემული სტატისტიკებიდან ირკვევა არასრულლწოვანი დამნაშავეების უმეტესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია. შესაბამისად შინაპატიმრობის, როგორც რიგითი სასჯელის გამოყენება მამაკაცების მიმართ უფრო ხშირად ხდება და ისინი მსჯავრდებულთა სრულ უმრავლესობას, 100 % ს შეადგენენ.

2019 წლის აპრილის თვეში ყველაზე მცირე რაოდენობა დაფიქსირდა საქართველოს მასშტაბით გამოყენებულ შინაპატიმრობებს რაოდენობებს შორის, რადგგან მხოლოდ ერთი საქმე იქნა შემოსული განსახილველად თბილისის რეგიონში, თუმცა მოცემულ თვეში არცერთი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული მოცემული სასჯელის გამოყენების შესახებ, შესაბამისად აპრილის თვის მონაცემები არ არსებობს.

2019 წლის მაისის თვეში არცერთი არასრულწლოვნის მიმართ არ მომხდარა სასჯელად შინაპატიმრობის დაწესება, რაც გულისხმობს რომ არცერთი საქმე არ დასრულებულა, მაგრამ ერთი პირის მიმართ შემოვიდა საქმე, რომლის განხილვის შედეგად გადაწყდება, მოხდება თუარა მის მიმართ მოცემული სასჯელის გამოყენება. გაკვირვებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი თბილისის რეგიონიდან არის, ზოგადად თბილისის რეგიოზე მოდის შეფარდებული შინაპატიმრობების ნახევარზე მეტი, თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაციის

[94]https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika (მოპოვებულია 05.207.2019)

მიხედვით 2017-2018 წლების პირველ კვარტალში (იგულისხმება პირველი სამი თვე) შინაპატიმრობა გამოყენებულია 27 პირის მიმართ, საიდანაც 25 პირი არასრულწლოვანია.

5.2 შინაპატიმრობის გამოყენება სრულწლოვნებთან მიმართებაში

შინაპატიმრობის გამოყენება სრულწლოვნებთან მიმართებაში წინ გადადგმული ნაბიჯია ზრდასრული მსჯავრდებულების რესოციალიზაციის მიზნით და ცალკეული პირობების გათვალისწინებით, მაგალითად სრულწლოვან პირებს ანაზღაურებადი სამუშაო არასრულწლოვნებთან შედარებით უფრო ხშირად აქვთ და შესაბამისად მოცემული სასჯელის აღსრულება მათ უფრო მძიმე მდგომარეობაში არ აყენებს, გარდა ამისა არ შეიძლება კანონი ასეთ შემამსუბუქებელ მდგომარეობას, როგორიც შინაპატიმრობის აღსრულებაა მხოლოდ არასრუწლოვან პატიმრებს უწესებდეს, შესაბამისად ზრდასრული პიროვნებების მიმართ მოცემული სასჯელის გამოყენება უპრიანია ისევ სისხლის სამართლის მიზნებიდან გამომდინარე, რადგან რესოციალიზაცია მხოლოდ არასრულწლოვანი პირების მიმართ მისაღწევ მიზანს არ წარმოადგენს.

2019 წლის იანვრის თვეში სრულწლოვანი ადამიანების მიმართ სამ რეგიონში თბილისში, ქვემო ქართლსა და იმერეთში დასრულდა სამი საქმის წარმოება და მოხდა ადგილობრივი საბჭოების მიერ შინაპატიმრობის შეცვლა, ხოლო შემოვიდა ოთხი საქმე, სადაც ბუნებრივია თბილისის რეგიონი სჭარბობდა. ზოგადად თბილისში საქართველოს მასშტაბით ყველაზე დიდი პროცენტულობა ფიქსირდება დანაშაულების მხრივ, მაგალითად მოცემულ თვეში საქართველოს მასშტაბით 1270 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, და ამ რაოდენობიდან 444 შემთხვევა თბილისის რეგიონში მოხდა, რაც საერთო სურათის 30 პროცენტზე მეტს შეადგენს და არ არის გასაკვირი, რომ შინაპატიმრობასთან დაკავშირებულ სტატისტიკებში თბილისი სჭარბობს სხვა რეგიონს, როგორც განხილული, ისე შემოსული და დასრულებული საქმეებით.

ზოგადად არასრულწლოვნებთან შედარებით სრულწლოვანი პირების მიერ დანაშაულის ჩადენა უფრო ხშირად ხდება, მაგალითად ზემოთ ნახსენები 1270 შემთხვევის პარალელურად, რომლებიც სრულწლოვნები

იყვნენ, მოხდა 29 დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვნის მიერ, რომელზეც დევნა დაიწყო, რაც საერთო სურათის 3 % საც არ შეადგენს.

თებერვლის თვეში მაგალითად შვიდი სრულწლოვნის მიმართ განხორციელდა შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის და მხოლოდ 1 შემთხვევაში იყო ის სასამართლოს მიერ შეფარდებული, სხვა 6 შემთხვევის დროს მოხდა ადგილობრივი საბჭოს მიერ შინაპატიმრობით შეცვლა და რა თქმა უნდა მოცემულ სტატისტიკაშიც თბილისის რეგიონი მოწინავე პოზიციაზეა საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით.

დასკვნა

ნაშრომში განხილულ იქნა ისეთი ნოვატორული სასჯელის სახე როგორიც შინაპატიმრობაა, ასევე მისი წარმოშობის, აღსრულების და მახასიათებლების შესწავლით მოხდა იმ დადებითი თუ უარყოფითი გავლენების განხილვა, რომლებსაც ის სამართალწარმოებაში ახდენს. ყურადღება გამახვილდა მისი გამოყენების პრობლემურ ასპექტებზეც, სირთულეებზე და რისკებზე, შესაბამისად შინაპატიმრობის, როგორც არასაპატიმრო სასჯელის სახის ინსტიტუტი ძალზედ საინტერესოა, როგორც თეორიული კვლევისათვის, ისე პრაქტიკული კუთხითაც.

ისტორიული რაკურსით მოხდა ზოგადად სასჯელების განვითარების ეტაპების მიმოხილვა, მათი ლიბერალიზაციის ფენომენის ახსნა და მოთხოვნის აუცილებლობის წარმოჩენა, განხილულ იქნა პირველი ნაბიჯები, რომლებმაც სამართალწარმოების სისტემაში თანამედროვე ხედვებს ჩაუყარეს საფუძველი და საბოლოო ჯამში არასაპატიმრო სასჯელების ბუნება წინ წამოსწიეს, როგორც სასჯელაღსრულების უფრო დახვეწილი მოდელი. საერთაშორისო აქტების ანალიზის საფუძველზე მოხდაპირველი ძვრების შესწავლა, რომელთაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში საპატიმრო სასჯელების გავლენის შემცირება დაიწყეს. სწორია იმ საერთაშორისო მიდგომების ტექსტები და მიზნები, რომლებიც ეჭქვეშ აყენებდნენ საპატიმრო სასჯელების ბუნებას, სისხლის სამართლის სასჯელის მიზნების კუთხით, არ შეიძლება ვუარყოთ ის მიდგომები, რომლებიც ასევე ქართველ მეცნიერებშიც არსებობდა სასჯელის მიზნებთან დაკავშირებით, რომელთა ყველაზე კარგი განმახორციელებიც შინაპატიმრობა აღმოჩნდა.

სწორია იმ მეცნიერების და იურისტების შეხედულებებიც, რომლებიც ცხადად ხედავენ შინაპატიმრობის პრობლემურ ასპექტებს და გარკვეულ წილ მის აღსრულებას მრავალ ნეგატიურ ფაქტს უკავშირებენ, თუმცა ანალიზის საფუძველზე დადგენილ იქნა რომ მოტანილი სიკეთე გაცილებით მეტია, ვიდრე დროებით შეზღუდული ცალკეული უფლებები.

განხილულ იქნა არასრულლწოვანთა მართლმსაჯულების უმთავრები მიზანი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ამ პროცესში სასჯელის მოცემული სახის ოქროს წილი, კერძოდ ის საუკეთესო შუალედი, რომელსაც ის ადგენს აღებულ პასუხისმგებლობასა და მოზარდის საუკეთესო ინტერესებს შორის, მისი ჰარმონიული განვითარების უფლებასა და მისდამი ინდივიდუალურად მიდგომის საკითხებს შორის, ასევე წარმოჩინებულ იქნა თუ რაოდენ კარგი

გარანტია შინაპატიმრობა მოზარდის ფსიქიკაში აღძრული პასუხისმგებლობისათვის, იმ მდგომარეობაში როდესაც ის კანონისადმი სიმპათიითაც იმსჭვალება.

კვლევისას გაკეთდა დასკვნა, მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამომწვევ ფაქტორებთან მიმართებით, როგორიცაა დელინქვენტური ქცევა თანატოლთა წრეში და სხვა სოციალური მომენტები, შინაპატიმრობა არ ახდენს ამ მიზეზების „წაქეზებას" მისი აღსრულების მომენტში და შესაბამისად მინიმუმამდე ამცირებს შემდგომში რეციდივის რისკს. პრაქტიკულად ხელს უშლის იმ მავნე კრიმინალური სუბკულტურის მქონე წრეში ინსტიტუციონალიზაციას, რადგან ქმნის გარკვეული პატიების მომენტს კანონის მხრიდან, მთელი რიგი ასპექტებით, მაშინ, როდესაც ამავდროულად პირს გარკვეულ პასუხისმგებლობას მაინც აკისრებს.

მოზარდის , მისი ოჯახის და ზოგადად მთელი რიგი ინტერესების განხილვით მოხდა იმის ნათლად ჩვენება, რომ შინაპატიმრობა თავისი არსით არა მარტო საპატიმრო სასჯელებს აღემატება მიღწეული სიკეთის ხარისხით, არამედ სხვა არასაპატიმრო სასჯელებსაც, რადგან პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი შინაპატიმრობის დროს უკეთ არის აღქმული და გაგებული, რაც შემდგომი რესოციალიზაციისათვის გადამწყვეტია.

სასამართლო გადაწყვეტილების პრაქტიკით და სხვა თეორული საკითხების ანალიზით მოხდა იმ უფლებების გამოკვეთა, რომლებსაც შინაპატიმრობა აღსრულების მომენტში სავარაუდოდ ზღუდავს, ასევე მოხდა ქართული კანონმდებლობის იმ პრობლემების განხილვა, რომელიც თავისი არსით გაუგებრობას ბადებს უფლებების საზღვრებსა და სასჯელის მიზნებს შორის. ლიტერატურაში გამოთქმული მეცნიერთა შეხედულებების და საკუთარი მოსაზრებების მოშველიებით მოხდა მოცემული ჩარევის ლეგიტიმური მიზნების დადგენა, რომლებიც საბოლოო ჯამში ისევ მსჯავრდებულებულების ინტერესებს ემსახურება.

მოხდა ამკ-ს მე-13 მუხლის განხილვა, რომლითაც დაცული არასრულწლოვნის პირადი ცხოვრება და ინფორმაცია, მისი ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისშესახებ, შესაძლოა აფიშირებული იყოს შინაპატიმრობის აღსრულების დროს. მოცემული უფლების საზღვრების და მსჯავრდებულის ინტერესების შეპირისპირება სისხლის სამართლის მიზნების პარალელურად. ასევე მოხდა ერთგვარი გამოსავლის გაჟღერება, რომელიც მოცემული სასჯელის სახეს, ზემოაღნიშნულ სამართლებრივ სიკეთესთან კონფლიქტში არ მოიყვანს.

საერთაშორისო შემთხვევების ანალიზის კუთხით განხორციელდა შინაპატიმრობის აღსრულების და წამების დაუშვებლობის განხილვა, კერძოდ წამების საზღვრების და ელექტრონული მონიტორინგით მიყენებული დისკომფორტის გაანალიზება.

ასევე განხილულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი, რომელიც პიროვნების სტიგმატიზაციისას პრაქტიკულად ვერ ხორციელდება.

განხორციელდა კონსტიტუციის მე-15 მუხლის ანალიზიც, როგორც მსჯავრდებულის უფლებებში ჩარევის თვალსაზრისით, ისე სხვა პირების მიმართ და იმ დასაშვებობითი სტანდარტის არსებობა, რომელიც შესაძლოა რესოციალიზაციას აფერხებდეს, სწორედ მოცემული ჩარევიდან გამომდინარე. საუბარი ასევე შეეხო სასჯელის მიერ გამოწვეულ ცალკეულ დისკომფორტს სხვა პირების მიმართაც.

საუბარი შეეხო იმასაც, რომ შინაპატიმრობის აღსრულების ეგექტურობის კუთხით უნდა არსებობდეს გამართული ელექტრონული მონიტორინგის სისტემა, კარგად დაფინანსებული სასჯელარსრულებითი სფერო, ელექტრონული მონიტორინგის დაფინანსების კუთხით, რადგან ეს უკანასკნელი საკმაოდ დიდ სახსრებს მოითხოვს.

ამდენად, ნაშრომში განხილულ იქნა შინაპატიმრობა, როგორც არასაპატიმრო სასჯელთა სახიდან უპირატესი, არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნების პირდაპირი და ყველაზე ეფექტური განმახორციელებელი საშუალება, მის გარეშემო მიმდინარე დისკუსიების ფონზე ცხადია, რომ საკმაოდ აქტუალურ თემასთან გვაქვს საქმე, მიუხედავად მისი ახალგაზრდა ბუნებისა. შესაბამისად აუცილებელია გაგრძელდეს მისი, როგორც ინსტიტუტის კვლევა და დახვეწა, რადგან მიმაჩნია, რომ მოცემული სასჯელის სახე სისხლის სამართლის სისტემაში რესოციალიზაციის უმთავრესი ფაქტორი იქნება, როგორც სრულწლოვნების ისე არასრულლწოვნების კუთხით.

ბიბლიოგრაფია

ლიტერატურა

1)ნაჭყებია, გ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2016, გამომცემლობა „მერიდიანი“
2)ლეკვეიშვილი,მ. სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმილოგოიური ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(43), 2014
3)ცქიტიშვილი, თ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2016
4)ვაიკუნდი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, სალექციო მასალა
5)შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, თბილისი 2011
6) ხაინდრავა, ნ. ბოხაშვილი, ბ. ხიდაშელი, თ. წინასწარი პატიმრობის შეფარდებას დაკავშირებული ადამაინის უფლებათა სასამართლოს ანალიზი, 2010
7)შალიკაშვილი, მ. სტატია „არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით“, 2016, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი 2
8)კავთუაშვილი. ე. სტატია „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი - ფსიქოლოგიურ,თეოლოგიურ,პედაგოგიურ და იურიდიულ ჭრილში“, სამართალი და მსოფლიო N4 თბილისი 2016
9)ხერხეულიძე, ი. სტატია „ სასარგებლო შრომა-არასაპატიმრო სასჯელთა სახის შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი“, მართლმსაჯულება და კანონი N2(29), თბილისი 2015
10)შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური,სისხლისსამართლებრივი,პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი 2011
11) ივანიძე, მ. სტატია „სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1. თბილისი 2017

12) შალიკაშვილი, მ. სტატია „კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი“, სამართლის ჟურნალი N1-2, თბილისი 2011
13)პროოსი, ა. პეტაი, ა. საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება დანაშაულისადმი,სასჯელთა შეფარდებისა და აღსრულების პოლიტიკისადმი, ტალინი 2009
14)შალიკაშვილი, მ, მიქანაძე, გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გამომცემლობა „მერიდიანი“
15)მესხი, მ, სტატია „არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებები,რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამართალწაემოებისას“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017
16)გაეროს ფონდი, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, 2017
17)გაბისონია, ი. აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2003
18)მჭედლიშვილი - ჰედრიხი, ქ. სტატია „შინაპატიმრობა,როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული,სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება“,სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბილისი 2017
19) მახარობლიძე, თ. სტატია „შინაპატიმრობა როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში“ გურამ ნაჭყებია 75, საიუბილეო კრებული,თბილისი 2016
20) ხერხეულიძე, ი. სტატია „პრობაციის ინსტიტუტი-არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი“ მზია ლეკვეიშვილი 85,საიუბილეო კრებული, თბილისი 2014
21) დვალიძე, ი. „სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები“, თბილისი 2013
22) პრადელი, ჟ, შედარებითი სისხლის სამართალი, 1999
23) ვაჩეიშვილი, ა. სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი 1960
24) გოთუა, ზ. სისხლის სამართალი - სასჯელი, თბილისი 2001
25) ვარძელაშვილი, ი. სასჯელის მიზნები, თბილისი 2016,
26) სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ. ნაჭყებია, გ. თოდუა, ნ. თბილისი 2018
27) გამყრელიძე, ო. სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბილისი 2013, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“
28) კრისტი, ნ. ტკივილის საზღვრები, რედ. შალიკაშვილი, მ. გიორგაძე, გ. 2017
29) ვუჩკოვიჩშაჰოვიჩი, ნ. დოეკი, ი. ცერმატენი, ჟ. ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, რედ. ალექსიძე, ლ. ხუციშვილი, ქ. ბერნი 2012
30) ივანიძე, მ. თოდუა, ნ. ვარძელაშვილი, ი. მახარობლიძე, თ. არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი 2017

31) ნაჭყებია, გ. სისხლის სამართლის საგანი, თბილისი 1997
32) სურგულაძე. ლ სისხლის სამართალი - დანაშაული, თბილისი 1997
33) ბიორგო, ტ. რედ. გიორგაძე, გ. შალიკაშვილი, მ. 2019
34) ნაჭყებია, გ. დვალიძე, ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2007
35) მინდაძე, ო. ფორჩხიძე. ბ სტატია „ფსიქოანალიზის როლი სისხლის სამართალწარმოების პროცესში“, მართლმსაჯულება და კანონი N4(43), თბილისი 2014
36) გოცირიძე, ე. „პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა, წამების ან სხვაგვარი არაჰუმანური მოპყრობის აკრძალვა“, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი 2013
37)მახარობლიძე, თ. სტატია „ელექტრონული ზედამხედველობა,როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში“, მაია ივანიძე-50 საიუბილეო კრებული, თბილისი 2017
38) არსოშვილი, გ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. პრობაციის სამართალი „ თბილისი 2015
39)იმერლიშვილი. ი. სტატია „არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი ეროვნული კანონმდებლობის,სასამართლო პრაქტიკისა და ევროპული სტანდარტების ანალიზის მიხედვით“, მართლმსაჯულება და კანონი N1(57), თბილისი 2018
40)Сундуров, Ф.Р. Талан, М.В. НАКАЗАНИЕ В УГОЛОВНОМ ПРАВЕ, МОСКВА 2015, Издательство «Статут»
41) старково.в. криминальная субкультура, Москва 2010
42)Ибрагимов, Т. ИСТОРИЯ РАЗВИТИЯ ДОМАШНЕГО АРЕСТА КАК МЕРЫ ПРЕСЕЧЕНИЯ В РОССИИ. Новосибирск 2017
43)Justice in America, Clemens, B. Stuart, J, M, second edition, 1998, Prentice Hall, Inc
44)Juvenile justice systems, international perspectives, edited by John A. Winterdyk, published by Canadian Scholars' Press Inc, Toronto Ontanio

ნორმატიული მასალა

1)საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
2)საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
3)არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი
4)საქართველოს კონსტიტუცია
5)პატიმრობის კოდექსი
6)კანონი „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“
7)კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“
8)გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია
9)Уголовный кодекс РСФСР 1922
10)გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ

მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები)
11)გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები)
12)გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები)
13)ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)
14)კანონი „ელექტრონული საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“
15)ევროპის საბჭოს მინისტრთა რეკომენდაცია CM/Rec(2014)4
16)International Covenant on Civil and Political Rights 1966

სასამართლო გადაწყვეტილებები

1) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484
2)როპერი სიმონსის წინააღმდეგ 543 U.S 551 (2005)
https://supreme.justia.com/cases/federal/us/543/551/

გამოყენებული ინტერნეტ რესურსი

1)https://www.times-news.com/news/local_news/juvenile-justice-system-stems-from-illinois-law/article_a8065591-44a4-5b65-aa2a-bbbbed931e02.html
2)http://chnm.gmu.edu/history/faculty/kelly/wciv/science/galileo.htm
3)https://apo.org.au/sites/default/files/resource-files/2003/07/apo-nid7949-1092766.pdf
4)https://www.ncjrs.gov/pdffiles1/nij/234460.pdf
5)http://www.probation.gov.ge/geo/main/index/1303?fbclid=IwAR1t8ho0tztOxNcrGG_rpNANsBNKNoh3RR0H7toU3inRku-zWNFyM403Hck
6)https://www.uscourts.gov/news/2017/03/30/probation-and-pretrial-officers-train-state-art-facility
7)https://accidentshappenatty.com/ankle-bracelets-work/
8)https://www.mediasphera.ru/issues/zhurnal-nevrologii-i-psikhiatrii-im-s-s-korsakova-2/2018/1/1199772982018012068
9)http://www.bekhterev.ru/upload/documents/%D0%9A%D0%BB%D0%B8%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%BA%D0%BE%20%D0%A2.%D0%92.pd%E1%83%A4
10)http://www.iuaj.net/node/1699
11)http://library.court.ge/upload/51392017-10-23.pdf
12)https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika
13) https://www.ojjdp.gov/mpg/litreviews/Home_Confinement_EM.pdf